საქართველოს პარლამენტი. გაზ. „საქარ. რესპ“. დამატება № 87.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტი.

სტენოგრაფიული ანგარიში.

59 სხდომა.

პარასკევი, ნოემბრის 8, 1918 წ. საღამო. ტფილისი. სახახლე.

თავმჯდომარეობს **ნიკოლოზ ჩხეიძე.**

მდივნობს საქართველოს პარლამენტის მდივნის ამხანაგი იოსებ აბაკელია

პრეზიდიუმში არის საქართველოს პარლამენტის მდივანი დ. ონიაშვილი

კრება იწყება საღამოს 8 საათსა და 40 წუთზე.

თავმჯდომარე. კრება გახსნილი გახლავთ. სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს კედია სპირიდონს.

სპირიდონ კედია (ერ.-დემ.) პარლამენტის წევრნო!

ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც საქართველოს პოლიტიკურ წრეებში საქართველო-სომხეთის საკითხი დაისვა და ირჩევა. თუმცა ქართველ საზოგადოებას ამ საკითხისთვის იმ თავითვე უნდა მიექცია ჯეროვანი ყურადღება. თუმცა საქართველოს მესვეურთ სომხეთის საკითხი უნდა ყოველ მხრივ შეესწავლა და მოეხდინათ, რაც შეიძლება გულდამჯდარი, ცივი ანალიზი ქართველ-სომეხთა ურთიერთობისა, რათა გამოეძებნათ ის შეზეზები, რომელნიც საქართველოს სომხებს აუცილებლად საქართველოს წინააღმდეგ აყენებენ და შესაფერი სიფრთხილე დაეჭირათ, თუმცა საქართველოს მესვეურთ ჰმართებდათ ამ საკითხზე უდიდესი ყურადღების მიქცევა,—მაგრამ ჩვენ და სამსამწუხაროთ ეს ასე არ იყო და დღეს ეს საკითხი ჩვენთვის გარკვეული არ არის; არც საქართველოს ხალხია ზაფრთხილებული და არც მისი მესვეურნი და ჩვენი ქვეყანა სრულიად მოუმზადებელი დგას ამ საკითხის წინაშე. რა თქმა უნდა: ეს დიდი ნაკლია და დიდი, იქნებ საბედისწერო შეცდომა! მე მინდა მოგაგონოთ მთავრობის თავმჯდომარის სიტყვაში რომ ადგილი ჰქონდა,—ის გაოცება.

რა მოხდა, რომ ამ უკანასკნელ 2—3—5 დღეში ეს ხალხი ჩვენს წინააღმდეგ აიქოჩრაო. მე ის კი არ მიკვირს, რომ ამ უკანასკნელ 4—5 დღეს ეს ხალხი ჩვენს წინააღმდეგ აიქოჩრა, არამედ მე ის მიკვირს, რომ აქამდისინაც ვერ წარმოგვედგინა, რომ სომხობა ჩვენს წინააღმდეგ ადგებოდა. ის, რაც ამ უკანასკნელ 4—5 დღის განმავლობაში ხდება. ბატონებო, არის აუცილებელი, ის არის ლოიკური დასკვნა იმ ხანგრძლივი პროცესისა, იმ მოქმედებისა, რომელსაც საქართველოს საზღვრებში სომხები აწარმოებდნენ. ეს პროცესი კი ყველას თვალ წინ სრულიად აშკარად მიმდინარეობდა და ადვილი გასაგები იყო, რომ დღეს თუ ხვალ მაინც თავს იჩენდა სწორედ ის, რაც ასე აკვირვებს ბ-ნ მთავრობის თავმჯდომარეს. ამას აბრნევდა ყველა, ვინც ჩვენს საზოგადოებაში იყო ჩახედული. ასე, რომ ეს მომზადებული და შექმნილია სომხეთის აუცილებლობით, ამ ძირითადის ძალით, რომელიც სცვლდა სომხის ცხოვრებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

სომხის იდეას და სომხის განწყობილებას საქართველოსადმი. და აი, სწორედ ამ გარემოებამ, ამ ძირითადმა ძალამ ზედაპირულ მშვიდობიანობის საფუძველი შეარყია და ორი მეზობელი ხალხი ერთი მეორის წინააღმდეგ დასძრა. ამ ძირითად ძალას არავინ არ აქცევდა ყურადღებას. დღეს მაინც აუცილებელია გარეშე ყოველგვარი სანტიმენტებისა, ამ მოვლენას ანალიზი გაუკეთეთ და ქვეყანას დავანახოთ მის წინააღმდეგ ამოძრავებული ძალა, რომ შემდეგ მას საპირდაპირო ღონისძიება შეეგებოთ და ფესვიანად აღვაცვეთოთ მისი განმეორება. აქ, ერთი რიგის ორატორები ზედა-ზედ ხაზს უსვამდნენ თითქოს იმ გარემოებას, რომ ამ ამბებში დამნაშავე არც სომხის ხალხი იყოს, არც სომხეთი, არამედ მხოლოდ რამდენიმე უპასუხისმგებელი პირი, ძალიან-ძალიან ერთი პარტია რომელიც დაპირებულია თავის ხალხის ცხოვრებასაც, თვით ხალხსაც და რომელიც რაღაც მანქანებით ამ ხალხს მაინც მესვეურობს და მეთაურობს. თუ აქამდისინ, ბატონებო, სომეხთა საკითხი სრულიათ დასმული არ იყო საქართველოს საზოგადოებრივ აზროვნების წინაშე, დღეს, როდესაც უკვე დასმულია რეალური საფრთხის სახით, მის გაშუქებისა და გადაჭრის დროს უნდათ მეორე შეცდომა ჩაიდინონ. და მე მსურს თქვენი ყურადღება მივაქციო სწორედ ამ შეცდომას.

ჩვენ აქ საქმე გვაქვს არა მარტო რამდენიმე უპასუხისგებელ პირთან, ჩვენ საქმე გვაქვს არა ერთ პარტიასთან, არა! ჩვენ საქმე გვაქვს ერთ მთლიან სომხურ ეროვნულ იდეასთან, რომელიც ამუშავებული და ამოძრავებულია საქართველოს წინააღმდეგ. ამ იდეამ მეტი სომხობა შეაიარაღა და ჩვენს წინააღმდეგ და არის. როდესაც ეს იდეა, სომხეთის იდეა—ცეცხლითა და მახვილით მოდის და მოიწევა საქართველოს წინააღმდეგ, როდესაც ეს იდეა—ძალა სცდილობს საქართველოს საზღვრები გადმოლახოს, საქართველოს ტერიტორიის ერთი ნაწილი ჩამოაჭრას და მიისაკუთროს, რათა საქართველოსაგან წართმეულ ტერიტორიიაზე თავისი სახელმწიფოებრივი ცხოვრება გაშალოს, როდესაც ეს იდეა—ძალა სცდილობს ნელის, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით შიგ საქართველოს შუა გულშიაც შემოიჭრას და ხელი ტფილისს დაადოს, რომელიც ცენტრია მთელი საქართველოსი, როდესაც ეს იდეა ასეთნაირის გამანადგურებელის ზრახვებით მოიწევა,—და ეს განსაზღვრულია არა შემთხვევითი მოვლენით, არამედ სინამდვილის აუცილებლობით. მე თქვენ გეკითხებით: რა უნდა ქნას თავდასხმულ ერის,—საქართველოს მთლიანობის იდეამ, მისმა სუვერენობის იდეამ? შეიწყნაროს და შეითვისოს მისი მოპირდაპირე, მის გამანადგურებელი იდეა, თუ?! ეს სიცოცხლის ძირითადი კანონის წინააღმდეგია! და რა გინდ წინააღმდეგნიც ვიყოთ ომისა, რა გინდ წინააღმდეგნიც ვიყოთ სისხლის ღვრისა, ჩვენ არ შეგვიძლია ხმლით და მახვილით არ შეეგებოთ იმ იდეას და იმ ხალხს, რომელიც ჩვენ გვანადგურებს.

როდესაც საქართველოს ტერიტორიას ოსმალეთის ჯარი მოადგა და ხიფათში ჩავარდა საქართველოს მთლიანობა, საქართველოს სუვერენიტეტი, მაშინ ჩვენ, კაცთ-მოყვარენი, ადამიანის სისხლის ღვრას, რომ გავურბოთ, ძალიან კარგათ გავეკვანეთ ტრის ამოსახოცად. თვით ჩვენი ეხლანდელი მთავრობის თავმჯდომარე ბ-ნი ნოე ჟორდანია „პატრონტაშებით“ შემოსარტყლული მიექანებოდა ბრძოლის ველზე და ყველას მოუწოდებდა მტრის ხოცვად და გასანადგურებლად. დიახ, ჩვენ ბატონი არ ვართ დედა-მიწისა და არც მარტონი ვართ ამ დედა-მიწაზე. და მშვიდობიანების მოყვარენი ძალიანაც რომ ვიყვნეთ, სისხლის საღვრელად აღვიძრებით, როდესაც სხვა ხალხი, გამანადგურებელის იდეით ამოძრავებული, საკუთარი ისტორიის ძალით აბერთავებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს წინაალმდეგ გამოილაშქრებს. სიცოცხლის ინსტიქტის ძალა გვალაშქრებს თავდაცვისათვის.

ბატონებო, ის იდეა და პრინციპი დემოკრატიზმისა, რომელზედაც აქ მოგახსენეს, სრულიადაც ვერ აარიდებს კაცობრიობას ომსა და სისხლის ღვრას. როდესაც ერთი ერი თავის ფარგალში ენერგიით დაიტენება და გაივსება, როდესაც იგი ცხოვრების აუცილებელი კანონის ძალით გაიწვეს და თავის ენერგიის გაშლას შეუდგება, მაშინ, ბატონებო, მას ვერავითარი დემოკრატიზმის იდეა ვერ შეაყენებს, თუ არა მისივე მზგავსად შეიარაღებული მოპირდაპირე ენერგია, თუ არა მისივე მზგავსად დარაზმული ძალა. ძალა ძალამ უნდა შეაყენოს.

ამიტომ თავვრობა მართვა-გამგეობის ტეხნიკას და პოლიტიკურ, თავის ყოველდღიურ საქმიანობას სხვებთან დამოკიდებულების საქმეში, იმაზედ კი არ უნდა აშენებდეს, რომ ამა თუ იმ ერში არის სრულიად უმნიშვნელო ნაწილი მშვიდობიანობის მოყვარე, არამედ იმაზედ, თუ რანაირია ამ ერის მთელი სახელმწიფოებრივი, აქტიური ენერგიის მიმართულება. ეგ არის რეალური პოლიტიკა. თავვრობამ მხედველობიდან ერთ წუთსაც არ გაუშვას ის გარემოება, რომ მეორე ხალხის სახელმწიფოებრივი აზრი და მიზანი, მისთვის რამოდენიმეთ ყოველთვის გაუგებარი და დაფარულია, და რომ მან სწორედ ამისთვის თავისთავად, მთელი თავის ძალა და ენერგია, ყოველთვის მზათ უნდა იყოლიოს შეიარაღებული, რომ მოულოდნელი თავდასხმის მსხვერპლი არ შეიქნეს.

ბატონებო, ჩვენ ვიცნობთ სომეხთა იდეას საქართველოს მიმართ. უნდა ისიც ვიცოდეთ, რომ შეუძლებელია უმტკივნეულოდ მოხდეს ლიკვიდაცია სომეხთა პრეტენზიებისა საქართველოზე. სომხები თავიანთ პრესაში, თავიანთ სიტყვიერ გამოსვლებში, თავიანთ საგარეო პოლიტიკურ მოღვაწეობაში ებრძვიან საქართველოში და საქართველოს იდეას, სომხები, საქართველოს თითქოს თავის თავად იპყრობდნენ. ყოველივე მტკაცეი მიწა სომხის მიერ საქართველოში დაპერილი იყო იმდენივე ციხე-სიმაგრის აგება საქართველოს წინააღმდეგ. ყოველი ზედმეტი შემოსევა სომხის ერისა საქართველოში,—იყო იმავე დროს საქართველოს ტერიტორიის დაკარგვა, და ამავე დროს, საქართველოს ძლიერების შემცირება. საქართველოში სომეხთა გაზრდა-გამრავლება, სომეხთა ეკონომიური, კულტურული და პოლიტიკური ენერგიის გაშლა-გაფართოვება საქართველოს ტერიტორიაზე იყო იმავე დროს და eo ipso საქართველოს ეკონომიურ ძლიერების შესუსტება და ქართველ ხალხის თანდათანი შეკუშვა საქართველოს საზღვრებშივე. ამგვარად, ორი ეროვნული სხეული, რომელთა ჩამოსაჯდაკებად საუკუნეებს ცალ-ცალკე უმუშაკნათ და რომელთა ძირითადი ატრიბუტები ერთმანეთისაგან განირჩევიან და შეურიგებელნი არიან, დღეს შეგნებულად თავ-თავის ეროვნულ მიზნებისთვის მოქმედებენ საქართველოს საზღვრებში; აი ორ ამგვარ ძალის ერთად ერთ სივრცეზე მოთავსება—ყოვლად შეუძლებელია, სანამ ერთ-ერთი ხელს არ აიღებს თავის პოლიტიკურ-ეროვნულ ზრახვებზე. ერთის მხრით, აგრესიული ძალა, რომელიც წინ მოიწევს ჩვენი ტერიტორიის დასაპყრობად და მეორეს მხრით, ძირეული ელემენტი,—მკვიდრი ქართველობა თავის ქვეყანაში, თავის საზღვრებში, რომელიც თავის სამკვიდრებელს ვერ დასთმის,—არ ამ ორ ძალის ერთად მოთავსება საქართველოს საზღვრებში, შეუძლებელია.

კიდე მეტი, ბატონებო: სომხები აქტიურად გამოდიან ჩვენ წინააღმდეგ. იბრძვიან ჩვენს წინააღმდეგ ყოველგვარის საშუალებით. სომხური პრესა, რომელიც ტფილისში გამოდის, თუ რომელსაც რუსეთსა და სხვა ქვეყნებში სცვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მენ ქართველების წინააღმდეგ ილაშქრებს და ათასნაირ ცილსა გვწამებს. ისენი საქართველოს საზღვრებში სომხები უფრო შორს მიდიან ისინი არ კმაყოფილდებიან არც პრესით და არც იმ ფსიხოლოგიურის მდგომარეობით, რომელსაც ჭქნინან პრესის საშუალებით. ისინი მოქმედებით სცდილობენ საქართველოს დარღვევას. ის ფაქტი, რომ საქართველოს ტერიტორიაზე რკინის გზის ხიდის აფეთქება მოაწყეს, ის ფაქტი, რომ სომხებმა თავიანი შეიარაღებული ძალა საზღვრებზე მოგვაყენეს, ის ფაქტი, რომ შიგ ტფილისში ათასნაირი ორგანიზაციები, რომელიც ხხოლოდ მარჯვე დროს უცდის, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას ძირი გამოუთხაროს,—ყველა ეს ნათლად მოწმობს ბატონებო, თუ რამდენად შეურიგებელია და რა დიდი მტერია საქართველოსი ის სომხეთის იდეა, რომლის მეთაურებად და სულის ჩამდგმელად დღეს დაშნაკელები გამოდიან. ბატონებო, ჩვენ ვერ ვხედავთ დღეს სხვა იდეას, რომელსაც სომხის ერი შემოეკრიბოს და რაიმე კეთილს მიზნით აღეძახის საქართველოს მიმართ. ვერ ვხედავთ სომხებში სხვას, ისეთ ვინმეს, ვინც გამოსთქვამდეს და გვაცნობდეს სომხის ერის კეთილ სურვილს საქართველოს მიმართ. ჩვენ ვერ ვხედავთ ისეთ ძალას სომხის ალაზნი, რომელიც სომეხთა სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას და ენერგიას აძლევდეს სხვა მიმართულებას, სხვა ორიენტაციას. ეს ასეთი სომხები არიან, ყოველ შემთხვევაში მათი ხმა დახშულია და ჩვენამდე არ აღწევს. დღეს ფაქტი ისაა, რომ სომხის ხალხი ამოძრავებულია საქართველოს წინააღმდეგ და ჩვენც ანგარიში მარტო ამას უნდა გაუწიონ. ეს არის ერთად-ერთი სინამდვილე ერთად ერთი ფაქტი. და მოელი ჩვენი ბრისხანება და თავდაცვის ენერგია უნდა იქნას იმისკენ მიმართული, რომ დაშნაკელების მიერ, სომეხთის ამხედრებამ საქართველოს წინააღმდეგ ჩვენთვის უფნებლად ჩაიაროს. ეს არის საქართველოს მთავრობისა და ყოველივე შეგნებულ მოქალაქის დღევანდელი ერთად ერთი დანიშნულება.

ასე მუშაობს სომხური იდეა საქართველოს დამოუკიდებლობისა, მის სუვერენობის დასამხობად. ბატონებო, ეს დეილი გასაგები არის. სომეხთა ბატონობა ამიერ-კავკასიაში საქართველოს დამოუკიდებლობით აღიკვეთება. მისი აღდგენაც საქართველოს დაშხობით მოხდება. ამიერ-კავკასიის მთლიანობა დაცული იყო, ვიდრე საქართველო შიგ იდგა და ამიერ-კავკასიას მეთაურობდა. ეს მთლიანობა დაირღვა, როგორც კი საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა. სომეხდა გაშლილობის ფარგალი შეიკუმშა. ამ დამოუკიდებლობის, საქართველოს აღდგენის წინანდელი status quo-ს დაბრუნება, დღეს ბატონებო, სომეხთა მეთაურების უდიდესი მიზანი და მისაღწევია. და ყოველი საშუალება ამ მიზნისთვის არის გამოყენებული. ამას თვის ღრმა მიზნები აქვს. ოქვენ კარგად იცით, რომ სომხობა კომპაქტურ მოსახლეობას არ წარმოადგენს, რომ იგი გაბნეულია სხვა და სხვა ეოში, მისთვის ხელსაყრელია, რომ ამიერ-კავკასიის ხალხები კვლავ ერთმანეთში არეული დარჩეს. მაშინ სომხების მდგომარეობა კვლავ ფიდეებურად უპირატესობას დაუბრუნებს. ისინი შეეცდებიან, კვლავ ხელში ჩაიგდონ ტფილისი ჩვენი დედა ქალაქი, რომელიც ცენტრია ამიერ-კავკასიისა და რომელიც ამიერ-კავკასიას ბელადობს, წარმოადგენს და მერე აქედან თავიანთ ბატონობას უფრო ადვილად განამტკიცებენ. მთელი მათი ცდა აქეთკენ არის მიმართული. მაი პრესაც ამის მაგალითს ყოველ დღე გვაძლევს. ბატონებო, საქართველოს და სომეხთის ღღევანდელი ვითარება და ურთიერთობა უბრალო ხუსტურის, ან პირადი განწყობილების საქმე არ გახლავთ, ეგ არის ვიმეორებ, სინამდვილის ძალით წარმოშობილი ვითარება, რომლის გადაწყვეტა, მეტის მეტად ძნელია. ან ერთის მხრივ უნდა იყოს, ამ შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხეევაში, დათმობა, ან მეორის მხრივ და მე თქვენ გეკითხებით. ვინ დასთმოს საქართველოს, რომელიც თავის საზღვრებში სდგას და რჩება და რომეოსაც არავის მიმართ თავის დღეში აგრესიული მიზნები არ ჰქონია, რომელსაც თავის მეზობლების მიმართ, განსაკუთრებით, სომხების მიმართ, არასოდეს ბოროტად არ ფუმქმედებია და რომელსაც, პირიქით, თავის საზღვრებში მუდამ კეთილ-განწყობილება გამოუჩენია სომხობისადმი, მე თქვენ გეკითხებით—ამ საქართველოს განა შეუძლიან, თავდამსმელის როლში მყოფ საქართველოს, განა შეუძლიან, ხელი აიღოს თავის ტერიტორიაზე, რომელიც საფლავივ წინაპართა და საქართველოს კულტურის აკვანი? მე თქვენ გეუბნებით, რომ არა! ეს წინააღმდეგია სიცოცხლის წესის! ერთ ერთ წინა სხდომაზე მთავრობის წარმომადგენელმა დიდის სიმტკიცით და გადაჭრით განაცხადა: მთელი ტფილისის გუბერნია საქართველოს ტერიტორია არისო, მისი უდავო ტერიტორიაო. დასამტკიცებელი არაფერი. ამით ყველაფერი ითქვა; მთავრობის წარმომადგენელის ამ განცხადებამ, მთელი დარბაზი, ყველა ფრაქცია მხურვალე ტაშით შეეგება (გაბაშვილი: მაგის შემდეგ აკიდ გახდა); მაშინ ყველა ფრაქციამ განაცხადა, ეს პლატფორმა ყველას გვაერთიანებსო. დიახაც. ტფილისის გუბერნია უდავოდ საქართველოს ტერიტორიაა. და ვინც ამაში შემოგვედავება ის საქართველოს მტერია, და მას მტრულად უნდა დავუზვედეთ, სულ ერთია, ვინც უნდა იყვეს იგი,—სომეხი, თუ სხვა ვინმე. ჩვენ დათმობა არ შეგვიძლიან; ჩვენის ისტორიულის უფლებით, სტატეგიის, ეკონომიკის და სახელმწიფოს ინტერესის ძალით ჩვენ ჩაყენებული ვართ ისეთ მდგომარეობაში, რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე თარიღით ხელში უნდა დავიცვათ ჩვენი ერის მამა-პაპეული სამკვიდრებელი. დათმობას სომხობა უნდა დაადგეს. სომხობამ უნდა ხელი აიღოს მზაკვრულ, დაპყრობით პრეტენზიებზე. ვიდრე სომხის იდეა საქართველოში მუშაობს და ვიდრე სომხობა ხელს არ აიღებს ამ იდეაზე, ვიდრე სომხობა არ მოიშლის საქართველოს ტერიტორიაზე მიმართულ პრეტენზიას, მანამდინაც, ბატონებო, ქართველ-სომეხთა საკითხი გადაუჭრელი დარჩება. და ჩვენც უნდა მზად ვიყვნეთ ყოველ შემთხვევისთვის დარეშენებული ბრძანდებოდეთ, რომ როგორც კი აიწეწება ჩვენი მდგომარეობა ან შინ, ან გარეგან და საქართველოს არსებობა გახდება საეჭვო,—მაშინათვე სომხები თავს წამოყოფენ და ჩვენ უნდა ველოდეთ ახალ-ახალ ბიდების აფეთქებას და ტფილისში ამბოხების მოწყობას პირველი და უმთავრესი, პოლიტიკურს ცხოვრებაში, ის არის, რომ მოდამ ცოტა ეჭვის თვალით უყურო და სრული ნდობა არ მისცე იმას, ვისაც შენთან საქმეშო აქვს ტ. ინამდვილი შემშინელი საბუთი, რომ შენს წინააღმდეგ ბრძოლა აწარმოოს, იმტომაც, სანამ საქართველოს პოლიტიკას, ქართველ ხალხს, და საქართველოს მთავრობას არ მიეცემა სრული გარანტია იმისა, რომ სომხობა აბსოლიუტურად ხელს აიღებს საქართველოს ტერიტორიაზე და თავის პრეტენზიებს ოკან წაიღებს—მანამ ჩვენი მორიგება—შეუძლებელია. დროებითი მიწყნარება საქმისა, ახალი ქარიშხალის მომამზადებელი იქნება მხოლოდ და თავს ნურავინ ნუ მოიტყუებს.

მაგრამ ასეთი გარანტიები შესაძლებელია კი, თუ დღეანდელი სინამდვილე დარჩა?!

თუ ჩვენ მხოლოდ იმას ვეკადეთ, თუ როგორის მოკარგულის ფრაზებით დავფარეთ ნამდვილი მიზეზები და სინამდვილე, თუ ჩვენ ყველაფერი მხოლოდ რამდენიმე უპასუხისმგებლო პირს მივაწეროთ და საქირკველი ქართველ სომხეთა ფუთანხმოებისა საამურაოზედ არ გამოვდეთ, საქართველოს დავლუპავთ და სომხებსაც სხვა გზის საძებნელად ვერ მოვმართავთ. არის ერთი გამოსავალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი რადიკალური საშუალება. ჩვენმა შინაურმა სიმტკიცემ და სიმეხთა პროტენზიებისა და იდეისადმი ჩვენმა შეურიგებელმა წინააღმდეგობამ, როგორც საქართველოს სიმხობა, ისე დანარჩენი სიმხობაც·ამ გამოსავალისკენ უნდა მიაქციოს. თქვენ კარგათ მოგეხსენებათ, რომ ოსმალეთში სიმხეთი, როგორც ასეთი, აღარც კი დარჩა. და, ეს სწორედ ჩვენთვის სამწუხაროდ. ამას არ მალავს თვით ოსმალეთის მთავრობა. 1916 წელს თავის ოფიციალურს გამოცემაში ოსმალეთის მთავრობა ამბობს, მას შემდეგ, რაც სიმხებმა შინ აჯანყება გაგვიმართეს, ჩვენ იძულებულნი გავხდით სიმხები ავვეყარა, გავგეგზავნა—ვინ მესოპოტამიაში, ვინ სირიაში და ვინ კიდეც, ვინ იცის, სადაო. ამ საშინელ ს დროსა და პირობებში სიმხებმა თავიანთი ძირითადი ტერიტორია დაკარგეს, ან უკეთ, ამ ტერიტორიამ სიმხები დაჭკარგა და სიმხეთი უსიმხებოდ დარჩა. აქეთ-იქეთ გაგზავნილი სიმხები ბევრი გასწყდა და აღიგვა, ბევრიც ამოქლიტეს. დღეს ეს ადგილი თითქმის სრულიად ცარიელია. ასე რომ დღეს ძირეულ სიმხეთში სიმხის მოსახლეობა ან სულ არ არის, ან თუ არის,—ძალიან თხლათ.

ჩვენ უაღრესად დაინტერესებული ვართ, რომ ოსმალეთმა სიმხის ერი მოაწყოს, და რომ სიმხობამ კვლავ დაიჭაროს თავისი ცარიელი ადგილი, თავისი ძირითადი სამკვიდრებელი. ამ ადგილს უნდა დაუბრუნდეს ყველა ის სიმხობა, რომელიც გადმოსახლდა საქართველოში სხვა და სხვა დროსა და სხვა და სხვა პირობებში. აი ეს გადასახლება არის ერთად ერთი გზა, რომელიც ქართველ-სომეხთა უთანხმოების მიზეზს მოსპობს. ეს გადასახლება ამგვარივე მიზნებისთვის ნაცადია ბალკანეთსა და დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყნებში. ვიმეორებ, ეს არის ერთადერთი საშუალება, რომელიც მართლაც და საფუძვლიანად და რადიკალურად გადასჭრის სიმხეთის საკითხს საქართველოში და გაამრობს იმ სიმხურ იდეას, რომელიც საქართველოს დამხობას და დაშლას ემსახურება. სიმხეთის ხელმძღვანელები, რომ გამოფიზზღდებოდნენ და ამის მაგვრად, რომ საქართველოს დამთუდებას ძირი უთხარონ შინ აჯანყება გაგვიმართონ, სიმხეთის ბედის მოწყობას ეცდებოდნენ ამ ერთად-ერთის შესაძლო გზით,—მაშინ მოისკენებს საქართველო და მთელი ამიერ-კავკასიაც და მოგებულ, დარჩება თავით სიმხობაც. თუ ეს არ იქნა და სიმხები, რომელიც აქ მოსახლეობენ, აქვე დარჩენ სამუდამოთ, მაშინ ყოველთვის მოსალოდნელი იქნება ამ საყაენ-მაყალო მასალის აფეთქებანი და მაშინ ერთად-ერთი გარანტია ჩვენი მთლიანობის დასაცავად ჩვენს შინაურ სიმტკიცეში უნდა ვეძებოთ. ყოველად შეუძლებელია მარტო სიმხის კეთილ სურვილზე იყოს მიგდებული ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის ბედი, შეუძლებელია სიმეხთა იდეის და ძალის გაბათილება საქართველოში თვით სიმხობის კეთილ გუნებით მოხდეს. ეს კი უნდა მოხდეს, და თუ მოხდა, ეს იქნება შედეგი ჩვენი შინაური სიმტკიცისა და ერა სიმხის ერის, სიმხის ხალხის თავისუფალი სურვილის ნაყოფი. ამიტომ მუდამ შინაური სიმტკიცისათვის უნდა ვზრუნავდეთ, მუდამ თვალი უნდა ვეჭიროთ ფხიზლად. ყოველთვის მზად უნდა ვიყვეთ.

მარტო ამ გზით შეიძლება სიმხეთის სიფრთხის ჩაერობა და აღკვეთა, როდესაც იგი თავს წამოყოფს ჩვენი ქვეყნის ყოველ დიდ გაუჭირვების დროს.

რაც შეეხება იმ განცხადებას, რომელიც ამ საკითხის შესახებ მთავრობამ უკვე მოახსენა პარლამენტს, უნდა ითქვას, რომ ეს განცხადება სრულიად დამაკმაყოფილებელი არის. სიმხეთის საკითხი, რომელიც დღეს არის დასმული, ჩვენი არსებობის სწფუძველს ეხება. აქ საჭიროა ერთი მთლიანი ფრონტის შექმნა. მთავრობის მიერ გადადგმულმა ნაბიჯმა უნდა აგვარიდოს ყოველგვარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახიფათო სიტუაციაზები. მთავრობა დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ამგვარ პირობებში მასთან იქნება მთელი საქართველო, და რომ იგი მთელ თავის ძალასა და ენერგიას მთავრობის სრულ განკარგულებაში გიდასცემს. ასეთია პროგრამა ყოველი შეგნებული ქართველისა. დღეგანდელი მოვლენა ვანსაკუთრებული მომენტია, რომლის დიდი ნნიშვნელობა მთავრობის თავმჯდომარემ ასეთის დარწმუნებაით თქვენს წინ გადმოშალა. ასეთ მომენტში საჭიროა განსაკუთრებული სიკერპე და სიმკაცრე. ჩვენ უკვე დაკკარგეთ საშუალება და შესაძლებლობა ვიცხოროთ ნორმალურის წესით, სომხების წყალობით. მაშინ, როდესაც აქ ხალ. გვიფეთქებენ, იქ ჯარით თავს გვესხმიან, შინ ათასნაირ ინტრიგებს გვიწყობენ და აღვირ წახსნილ ულდიერობით ათასგვარ ცილსა სწამებენ მთავრობასა და ქართველ ხალხს და ყოველგვარ საშუალებას ხმარობენ, რომ ჩვენს წინააღმდეგ ააღელვონ სომხური მასსა, როდესაც მთელს ამიერკავკასიაში ათასგვარ ორგანიზაციებს, პრესას და გაზეთებს სრულიად თავისუფლად ჩვენს საალანძღავათ აქეზებენ და საქართველოს წინააღმდეგ ამხედრებენ, როდესაც ასე შეუბრალებლად გვებრძვიან,—ჩვენ არ შეგვიძლია თავაზიანობის და გაუბედაობის პოლიტიკა გავამთ. ასეთ შემთხვევაში ყოველგვარი სანტიმენტები უნდა უკუ ვაგდოთ. უნდა აღმოვიფხვრათ ის იმედები, თითქოს სომხის ეროს დემოკრატია ან სომხური პოლიტიკის წინააღმდეგ იყოს და ამიტომაც შესაძლებელი იყოს მას მივენდოთ რომ მისდამი ერთნაირი ლმობიერება გამოვიჩინოთ შინ თუ გარეთ. ეს შეცდომაა და ყოველად შეუწყნარებელი. ვეარ ერთი სახელმწიფო მოღვაწე, ვერც ერთი პოლიტიკური პრაქტიკი მოღვაწე, ასეთ გზას ვერ დაადგება. ჩვენ კატეგორიულათ მოვითხოვთ, რომ ისეთს მომენტში, როდესაც საქართველოს მთლიანობას და დამოუკიდებლობას საფრთხე მოუვლინეს, მთავრობამ ამოსწეროს მთელის სიმკაცრით და სისასტიკით ყველა ის საშუალება, და ყველა ის ღონისძიება, რომელიც მას მოეპოება მტრების დასამარცხებლად. ეს აუცილებელია. და როდესაც მთავრობა ამ გზაზედ შესდგება, ის დაინახავს, რომ მთელი საქართველო მას გვერდში ამოუდგება. დღეს ქართველ კაცისთვის უძვირფასესი მის სუვერენობისა არა არის-რა. და როდესაც ვინმე, ან რაიმე ძალა ამ სუვერენობის წინააღმდეგ გამოვაშჭრებას, მაშინ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, თუ მთავრობა საჭირო სიმტკიცით და სიმკაცრით იმოქმედებს,—რომ ეს ქართველი კაცი თავის სიცოცხლეს და ქონებას არ დაზოგავს, რომ ის გაამაგრებს მთავრობას და იბრძოლებს სამშობლოს თავისუფლებისა და დღეგრძელობისათვის. ჩვენ მოვითხოვთ მთავრობისაგან ენერგიას, სიმკაცრეს და სიმტკიცეს ამ პირობით ჩვენ მასთან ვართ და მთელი საქართველოც მასთან იქნება.

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს რევაზ გაბაშვილს.

რევაზ გაბაშვილი. (დამ. ერ.-დემ.) ბატონებო, დღეს სწორე მოგახსენოთ დიდი უცნაური დღე არის. ოთხშაბათ მთავრობის თავმჯდომარე გამობრუნდა ამ ტრიბუნაზე და განაცხადა, რომ რაღაც ხდება ქალაქში, რაღაც ხდება რესპუბლიკაში ამ 4—5 დღის განმავლობაში, რაც არ ყოფილაო, სწორე მოგახსენოთ, მე ძალიან გამიკვირდა. არა მარტო სამი-ოთხი დღის განმავლობაში, არა მარტო ოთხი თვის და წლის განმავლობაში, მე რაც ჩემი თავი მახსოვს სულ ესეთი ამბავი ხდება. ჩვენ, ბატონებო, კონტრ-რევოლუციონერებს გვეძახიან, შოვინისტებს (ალ. ლომთათიძე: მართალია!) დიახ, დიახ! მართალია, რომ გვეძახიან იმიტომ, რომ ჩვენ ვამბობდით ხუთი თვის წინად (ხმა: ერთი ხელის წი-

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნად) იმას, რასაც ამბობს დღეს ბატონი ლომთათიძე (ლომთათიძე: არაფერი მაგის მსგავსი) ერთი თვის წინად, რომ მე მეთქვა, მე ვიქნებოდი კონტრ რევოლუციონერი. ფაქტიურად კი რა მოხდა? არაფერი არ შეცვლილა. დაშნაკ-ცაკანები, რომლებიც თავის დაბადების ისტორიის დღიდან, რომელნიც მთელი ამ ომის და მთელი რევოლუციის განმავლობაში იქცეოდნენ მზაკვრულად და ისევე ავაზაკურად, როგორც დღეს და გუშინ, ამის შემდეგაც ასე მოიქცევიან. რასაკვირველია, პატივცემულ თავმჯდომარემ გვითხრა და მართლაც არის, რომ ნახტომი შეეშალათო; მაგრამ, ბატონებო, როდესაც მათ ამისთანა ნახტომე-მეტი არა შეუძლიანთ რა. რამდენჯერმე კიდევ გადახტებიან მოსტეხენ კისერს ბის როგორც თავის ერს, ისე სხვას. მე ვშიშობ, რომ ამის იქითაც ყვირილი ბატონ ლომთათიძისა და ჯაჯანაშვილისა, რომელნიც დღე და ღამ გაიძახოდნენ სოლიდარობასა და სომხებთან ძმობასა და ერთობაზე (ლომთათიძე: ეხლაც გაიძახიან!) დღეს, ბატონებო, სწორედ ის ხალხი, როდესაც ლაპარაკობდა ჩვენ წინაშე ასეთ სოლიდარობაზე და ძმობაზე, ისეთ უშველებლის ხმით ყვიროდა, რომ სწორე გითხრათ... (აღ. ლომთათიძე: შეგეშინდათ არა?!) მე რომ სოციალისტი ვყოფილიყავ, რასაკვირველია, შემეშინდობა, მაგრამ მე ეს არ მაშინებს, ბატონებო და საუბედუროდ არც იმათ შეეშინდებათ, ვის წინააღმდეგაც იყო ეს ყვირილი მიმართული. იმიტომ, რომ მე არა მჯერა, რომ ამ ყვირილს მოჰყეფს რაიმე დიდი შედეგი.

ჩვენ გვაქვს ათასი საბუთი და ასეთი საბუთი დღეს კიდევ ერთხელ მოგვცა ხელში მთავრობის თავმჯდომარემ, რომ ეს არის ცარიელი დეკლარაცია და ცარიელი ლაპარაკი, რომ მას არავითარი შედეგი არ მოჰყვება: ბატონმა თავმჯდომარემ გვითხრა, რომ დღეს რაღაც ხდებაო, ეს არის ამ 4—5 დღეშო. ნუ თუ ბატონ თავმჯდომარეს დაავიწყდა, რომ ამ 4—5 დღის განმავლობაში კი არა წინად აფეთქეს ჩვენი ხიდი; ნუ თუ დავიწყდა, რომ 4—5 დღის განმავლობაში კი არა, ამას წინათ ტფილისში სომხის ჯარის-კაცებმა დაატუსაღეს ჩვენი ქართველი მოქალაქე, ნუ თუ მთავრობის თავმჯდომარემ დავიწყა, რომ ამას წინად აღმოაჩინეს ათასი საწყობები, მოწყობილი დაშნაკცაკანების მიერ (ლომთათიძე: შესჭამეს სომხებმა. სიცილი). ბატონო ლომთათიძე თქვენ ძალიან კარგ გუნებაზე ბრძანდებით, განსაკუთრებით დღეკანდელი თქვენი სიტყვის შემდეგ, მაგრამ არა მგონია, რომ მაინც და მაინც ასეთი საჭიროიერული საგანი იყოს (ლომთათიძე: თქვენ, რომ გამოდიხართ მაშინ არის ასეთი სიმბიარული) მე ვშიშობ, რომ დღეკანდელი გამოსვლა მთავრობის თავმჯდომარისა და სოციალისტებისა, ნამდვილი სახელმწიფოებრი თვალსაზრისით კი არ ჯარის გამოწვეული, არამედ უბნალო გუნებისა, თუ შესაძლებელია ასე თქვას. დღეს თავმჯდომარემ ისე უბრალოდა სთქვა, რომ მასთან მისული დელეგაცია იაგჯიანის სახითდაუდიერათ უყვირნია, უდიერად მოქცე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი, რომ ჩვენმა სოციალისტებმა დიდი ყვირილი იციან, მაგრამ როდესაც საქმე საქმეზე მიდგება, არაფრის გაკეთება არ შეუძლიანთ. და რომ არ შეუძლიანთ, ამის შესაფერისი ფაქტები ჩვენ ხელთა გვაქვს. მეტი რა ჩამოვთვალოთ იმ ფაქტებზე, რომელიც იყო მოთავსებული გაზეთ „ერთობაში“, რომ სომხეთში გაგზავნილი იყო მატარებელი იარაღით და ჯარის-კაცებით. ეი ამ უბრალო ცნობის გარდა, რომელიც მთავავსებული იყო გაზეთში, ჩვენ გვაქვს ცნობები, რომ გაგზავნილი იყო მატარებელი ორ არა მარტო ჯარის-კაცებით, არამედ სურსათით და აუარებელი იარაღით იმ ქვეყანაში, რომელიც ომს გვიცხადებს და რომლის წარმომადგენლები აქ შინაურ ამბოხებას გვიმზადებენ; ბრძანება იყო მთავრობისა, რომ ეს ჯარი გატარებულიყო და უბრალო ჯარისკაცებმა არ გაატარეს.

და მე მჯერა, როდესაც ბატონი თავმჯდომარე ბრძანებს, რომ ჩვენ არაფერი წინააღმდეგი არა გვაქვს, რომ სომხის ლტოლვილები დავასახლოთო, მაგრამ გლეხკაცები წინააღმდეგნი არიანონ. მე ეს მჯერა, რადგან ქართველი ერი გლეხკაცი უფრო ჯანსაღი და შორს მეგრეტელია, ვიდრე სოციალდემოკრატები და ჩვენ. მთავრობა (ვეშაპელი. მართალია). მთავრობა შეიძლება სხვანაირად უყურებდეს ამ საქმეს, ვიდრე გლეხკაცი და ჯარისკაცი, მაგრამ გლეხკაცი და ჯარისკაცი არ დაუშვებს ამისთანა უდიერობას.

თქვენ ნუ გავიწყდებათ ის მდგომარეობა, რომ სომხის ხელმძღვანელმა პარტიამ, რომელიც უდგა სათავეში არსებულ, თქვენგან მოგონილ დემოკრატიას, დაშნაკცუტიუნმა ზურგი გაიმაგრა თქვენგან.

ირაკლი წერეთელი არ იყო, რომ გულუხვად გაუბოძა სომხის დაშნაკელებს 80 მილიონი მანეთი? (აღ. ლომთათიძე: ირაკლი წერეთელი კი არა, მთელი ფრაქცია იყო). ირაკლი წერეთელი არ იყო, რომ გვიმტკიცებდა,—თუ 80 მილ. ბოხი სომხებს არ მივეცით, სისინს ასტეხავენო? განა ჩვენ არ ვამბობდით რომ ეს 80 მილიონი კი არ გააჩუმებს, უფრო აახმაურებსო? განა დღეს რომ თავმჯდომარე ამბობდა დღევანდელმა პროვოკაციამ ძალიან გააკვირვა, 80 მილიონიდან (ცოტა მოახმარეს ამ პროვოკაციის მოწყობას თქვენს წინააღმდეგ? (ვეშაპელი: მართალია) ბატონებო, განსხვავება თქვენსა და ჩვენს შორის იმაშია, რომ როდესაც თქვენ აი აქ, ტრიბუნაზე და სხვაგანაც რაშიმე დაწუნდებით (მე მგონია, რომ ეხლა კი დარწუნდითო და ამაზე აშკარად ლაპარაკობთ) შედეგს ალარ მოაყოლებთ ხოლმე. ამაში თქვენ ლოღიკაც უნდა გახლდეთ. როდესაც აშკარად ბრძანებთ, რომ მემარჯვენენი არიან თქვენი მოღალატენი და როდესაც ირაკლი წერეთელი იძახის, რომ აი ეს დაშნაკცაკანელები არიან დემოკრატიის წარმომადგენელი და ჩვენი მეგობრებია... (აღ. ლომთათიძე: ეს არ უთქვამს). გაბაშვილი თავმჯდომარეს) ბატონო თავმჯდომარე სთხოვეთ ბატონ ლომთათიძეს, ნუ მიშლის (ზარი).

თუ ბატონებო, აქ მოგახსენებდნენ, რომ ეს მემარჯვენენი აქ მოღალატენი არიანონ და ესენი კი თქვენი მეგობრები არიანო,—რატომ გამოდიხართ აქ და ერთი კვირის და 2 კვირის შემდეგ მოღალატეებად გამოგყავთ ეს პატიოსანი დემოკრატია და თუ მოღალატეთ გამოგყავთ და აღიარებთ, რომ ეს პარტია არის ხალხის მეთაური და წარმომადგენელი, ან რომ ისინი არიან უბრალო კერძო პირები ან უბრალო პროფოკატორები, რომელსაც არ მისდევს სომხის ერი, სომხის დემოკრატია, მაშინ ამ პროვოკატორებზე და კერძო პირებზე მაინც უნდა მივიღოთ ის ზომები, რა ზომებიც მისაღებია, (ხმა: მაგალითად). ფოთ თქვენი სიტყვა არ დარჩეს ჰაერში ჩამოკიდებული, როგორც სულ ყოველთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონებო, განა თქვენ არ იყავით, როდესაც ანალოგიური შეკითხვა ჩვენ შემოვიტანეთ, რომ ბრძანნეთ, ეს არის კონტრ-რევოლიუციაო, რომ ეს არის ალაგმვა პრესისა, ალაგმვა პრესის თავისუფლებისაო? განა თქვენ არ იყავით, რომ თავზე კაკალს გვამტვრევდით, როდესაც ჩვენ გავბედეთ უცხოთა პრესის წინააღმდეგ ლაპარაკი?

თქვენ კი გამოდიხართ წარმომადგენელნი სოციალ-დემოკრატიისა და იმავე სიტყვებით იმეორებთი მას, რაც ჩვენ ორი კვირის წინად ვსთქვით. მე მაკვირვებს, თუ სულ დაკარგეთ ლოღიკის კანონის ძალა, სირცხვილი მაინც არ უნდა დაგეკარგოთ და ორი კვირის შემდეგ არ უნდა ‹თქვათ ის, რასაც ორი კვირის წინა ჩგმობდით და სამარცხვინო ბოძზე აკრავდით.

თქვენმა ასეთმა აგიტაციამ, თქვენმა ასეთმა მოქმედებამ ბევრს, შეიძლება, გულწრფელ ადამიანსაც, შეაცვლევინოს აზრი. დღეს დილით, როდესაც მე ლომთათიძეს და სხვებს უსმენდი და ვფიქრობდი, იქნებ მართალს ამბობს, მე ერთ წუთს გავიფიქრე კიდეც: იქნება დრო დადგა, რომ ჩვენც გავსოციალისტდეთ. მაგრამ, როდესაც მე ვიფიქრე, რომ გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეს მარტო ლაპარაკია და ამას საქმე არ მოჰყვება,—მაშინ ვიფიქრე და ვსთქვი: არა ეს ყოველად შეუძლებელია. და თურმე აქ, (ჩვენს ეროვნულ პარლამენტში ყოფილან ისეთი პირები, რომლებზედაც, არ ვიცი, როგორ ვსთქვა, რომ არ ვიწუკინო სოციალ-დემოკრატებს), ისეთი ყალბი ისეთ არაფერზე დამყარებული სიტყვები როგორღაც მოქმედებენ. მე მინდა მოვიყვანო სიტყვა ისეთ გულწრფელ ადამიანისა, როგორიც არის ივანე გომართელი.

მან ერთი კვირის წინ, როცა სომხებმა ომი გამოგვიცხადეს გვითხრა: ბატონებო, მე პოლიტიკანობა არ შემიძლიან, მე პირდაპირ გულწრფელად უნდა ვილაპარაკოვო. „როდესაც აქ ლაპარაკობენ: სომხის ხალხი, სომხის დემოკრატია, მე სრულიად არ მჯერა იმიტომ, რომ ისინი არიან დაშნაკ„ანელიები და დაშნაკ„ცაკანელებს ჩვენ უნდა ვებრძოლოთ სისხლის უკანასკნელ წვეთამდეო“. დღეს კი იმავე ივანე ‹ომართელმა, ალბად შეცდომით, ალბად შეცდომაში შეიყვანეს სოციალ-დემოკრატებმა, დღეს მან სთქვა, პირდაპირ სთქვა, რომ სომხის ერი, სომხის დემოკრატია სადღაც არსებობს და მასასთან მუდმივი კავშირი და მეგობრობა გვაქვს, და თუ ვინმე არის მოსაკლავი, გასაჟლეტი ესენი არიან ეს უბედური დაშნაკელებო. აი, ბატონებო, თქვენნი სიყალბით როგორ არიგდარიეთ ყველა ცნებანი და შეჭამენით ისეთი მდგომარეობა, რომ აი ეს ერთად ერთი გულწრფელი (სოციალ-დემოკრატიც შეცდომაში შეიყვანეთ, და დაუსახეთ ხალხს, ისეთი მდგომარეობა, რომ სომხის დემოკრატია კი არ გვებრძვის, ჩვენ გვებრძვის მხოლოდ ისეთი გადაგვარებული დაშნაკ„ცაკანები, რომელთაც თავისი სამშობლო ენაც არ იციან. ეს ბატონებო, სიყალბე არის, ეს არის თვალების ახვევა, თავის დაბრმავება, რომ ვსთქვათ: ტფილისში არის 20—30 დაშნაკ„ცაკანი, ისეთი თავზე ხელ-აღებული, რომ თავის ხალხიც დაღუპეს და საქართველოსაც დაღუპვას უქადიან. მაგრამ, ხომ არ შეგვიძლიან დავიჯეროთ, რომ 20—30 და თუნდაც 1000 მა დაშნაკ„ცაკანმა და მათმა ორგანომ, მათმა გაზეთმა ოსმალეთის სომხების მთელი სოფლები და ოსმალეთიც დაღუპა. ამისთანა დაშნაკელი ყველა ნაბიჯზე გვხვდება, რომელნიც პროპაგანდას ეწევიან, რომელნიც სწერენ რუსულ გაზეთებში, რომელთაც დაღუპეს და და აწამეს ჩვენი საუკეთესო კუთხე აჭარა, რომელთაც მოგვიწყეს აჯანყება დუშეთში, ‹ელოკლიჭში და სხვაგან. ნუ თუ ისეთი გულუბრყილონი ხართ, რომ ვერაფერს ვერ ხედავთ, და ყველაფერს აბრალებთ კერძო პირებს. და ისე დაბრმავებული ხართ, გულუბრყვილონი, რომ ეს ასე წარმოგიდგენიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს რაღაც შეუძლებელია. მე მგონია, რომ ეს „ტონკაია პოლიტიკა“ გახლავთ რუსები რომ ამბობენ. თქვენ გინდათ სომხის ერი, საქართველოს ერი და მთელი ქვეყანა შეცდომაში შეიყვანოთ. თქვენ გინდათ, რომ დაარწმუნოთ მთელი ქვეყანა და ნამეტნავად სომხის ხალხი, რომ ჩვენსა და სომხების შორის არაფერი წინააღმდეგობა არ არის, რომ ჩვენსა და იმათ შორის მარტო დაშნაკელები არიან. იქნებ ეს „ტონკაია პოლიტიკა“, რომელსაც ჩვენ ვერ მივხვდით, მაგრამ ეს „ტონკაია პოლიტიკა“ იმდენად „ტონკაია არის, რომ სადმე გაწყდება და თუ გაწყდება, მაშინ ჩვენი დამოუკიდებლობა, რომელმაც თქვენ ვითომ ასე თავგანმდებით იცავთ, გაბავდება და შესაძლოა ხვალ ტფილისში და ამ სასახლეში. გეყოლებათ ბატონებათ ეს დაშნაკაკანები, რომლებისაც თქვენ ეგრე გეშინიათ. მე მგონია, რომ როდესაც აქ სოციალისტური პარტიების წარმომადგენლები გამოდიან და ასე ხმა მაღლა, ასე თავ-აშვებული ყვირილით გმობენ ყოველივე პარტიას, ყოველივეს მიმართულებას, რომელიც მოქმედობს. ეს არ არის იმისთანა საბუთი. არ არის ჭკვადამჯდარი მოვლენა, რომელსაც შეიძლება დაშნაკცაკანელებმა ანგარიში გაუწიონ.

თქვენ მოგეხსენებათ და თუ არ მოგეხსენებათ მე მოგახსენებთ, როდესაც ჩინელები, საშიელო საუკუნეებში სომრად ემზადებოდნენ, პირზე საშინელ მასკებს იკეთებდნენ, მტერი უნდა შეეშინოთო.

როდესაც მე ლომთათიძეს და ჯაჯანაშვილს უყურებდი მაგონდებოდა ეს ჩინური მასკები. ამით უნდა შეეშინონ მტერი. როგორც გიხსომებათ, ბატონმა გეგეჭკორმა თავისი ჯარით და თავისი „ინტუზიაზმით“ ოსმალები შეაშინა. ჩვენ ვიცით, რომ ამ შიშს ის მოჰყვა, რომ ჩვენი საუკეთესო თვალი, ჩვენი გასახედი ევროპაში მოგვიხარეს და წაიღეს. მე ვშიშობ, რომ ამისთანა ყვირილს არავითარი მოქმედება, რეალური არ მოსდევს და რომ თვალს კი არა ამ ჩვენს თავსაც მოგვაჭრიან და ტფილისსაც წაგვიართმევენ.

მაგრამ, ბატონებო, ეს ყველაფერი კარგია ჩვენ ძალიან ბევრს ვლაპარაკობთ და ერთმანეთს ვარწმუნებთ, რომ ეს ერთსულოვნება არის მემარჯვენეთა და მემარცხენეთა შორის. განსაკუთრებულ ფაქტების, განსაკუთრებულ მოვლენათა მიმართ, რომ აქ ხდება საშინელი ღალატი, საშინელი პროვოკაცია შიგნიდან და გარეგან. ჩვენი სახელმწიფო, მთელაც თითქოს ერთსულოვანი არის, მაგრამ მე მინდა ვიკითხო შემდეგი. ნუ თუ ამისთანა ერთსულოვნებას მოჰყვება იმისთანავე შედეგი, რომელიც მოჰყვა ისეთივე ერთსულოვნებას, როდესაც საკითხი დაისვა სომხებთან ომზე. ჩვენ გვახსოვს ყველას კარგად და „ერთობა“ ამას დიდის საზეიმო სახელწოდებით გაიძახოდა, რომ მთელი საქართველოს პარლამენტი გაერთიანდა და ერთ აზრიან და ერთსულოვან იქნა, იმ დროს, როდესაც სომხების ჯარმა გიდმოლახა ჩვენი საზღვრები. მერე? ამის შემდეგ რა მოხდა? ამის შემდეგ მოხდა ის, რომ თუმცა აქ ძალიან მტკიცედ და ძალიან მკვახედ იყო ნათქვამი, რომ საზღვრები დაცული უნდა იქმნეს, ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი საზღვრები დაცული არ არის და თუ დაცულია, ისეეთ დაშნაკცაკანებისაგან სომხეთისათვის.

აი ბატონებო, თუ ჩვენს ერთსულოვანებას, ჩვენს გაერთიანებას, ჩვენს შედეგებას საბოლოოდ მოჰყავს ასეთი შედეგები. მაშინ უნდა ვსთქვა, რომ ასეთი ერთსულოვნება ისეთივე მასკა იქნება, როგორიც დღეს გიიკეთა ლომთათიძემ. მე შეშინავ, რომ ასეთი მასკა არამც თუ არ შეაშინებს სომხის ერს და დაშნაკელებს, არამედ ჩვენ უნდა დავრწმუნდეთ, რომ როდესაც კვლავ მივლენ იგივე იაკჯიანი და ჯამალიანი და უდიერ ტონის მაგიერ ლაქუტიკან ტონს დაიჭერენ, რაც ჩვენს მეთაურებს ძალიან უყვართ, პოლიტიკური მოღვაწენი კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა, არამედ მუზიკანტები იყვნენ, რომლებიც ტონს უფრო აქცევენ ყურადღებას, მაშინ თქვენ ნაღვლიანი ბოგიკვდებით ხელში, ათასნაირ კარგ სიტყვებს გეტყვით და თქვენც დაიჯერებთ იმიტომ, რომ თქვენ ყურადღებას აქცევთ ლაპარაკის ტონს და არა იმას, თუ ვინ რას აკეთებს (ალ. ლომთათიძე: რა გავაკეთოთ, ბატონო რევაზ?) მე არ ვიცი რას გაკეთებს ლომთათიძე, მაგრამ მე ვიცი რა უნდა გაკეთოს ჩვენმა თავარობამ. როდესაც აფეთქებენ ხიდს, იქ კი არ უნდა იყვირონ, უნდა დაიპირონ დამნაშავენი და დახვრიტონ. როდესაც აქ მთავრობის თავმჯდომარე გვეუბნება, რომ ჩემთან მოვიდა სომხის დელეგაცია და უდიერად მელაპარაკებოდა სომხის მასიურ გამოსვლაზეო, აქ კი არ უნდა ილაპარაკოს, უნდა ეჰრძანებინა, რომ ის, ვინც ეშფოთებოდა დაიჭირათ და თავი ეკრათ ციხეში, როდესაც აქ გვეუბნებიან, დიდის რიხით და დიდის ყვირილით, რომ ჩვენსა და სომხის დემოკრატიის შორის არის დაშნაკაკანონ კედელი, მაშინ თუ თქვენ ვაქაცებში ხართ უნდა დაიჭიროთ ეს დაშნაკაკანები და დაუბრუნოთ სომხის დემოკრატიას. (ტაში, გ. ვეშაპელი: наложеннымъ платежомъ)

აი ასეთი სულიერი განწყობილება შეიქმნა პარლამენტში და მე მოვეღლოდი, რომ ამისთანა ბრალდების დროს, როდესაც დაშნაკაკანელთა პარტიას ამისთანა ბრალდება წამოუყენეს, დაადეს ხელი პარტიას და ეს ბატონმა თავმჯდომარემ აშკარად გამოაცხადა, მე მეგონა, რომ სომხის წარმომადგენელი გამოვიდოდა და თავს იმართლებდა, ან და იტყოდა იმისთანა სიტყვებს, რომელიც მთელ საქართველოს თუ არა პარლამენტს დაამშვიდებდა.

რა გავიგონეთ დაშნაკელების წარმომადგენელისგან? მან აქ ლუღლუღიო რაღაცა სთქვა. მან სთქვა, რომ ლტოლვილების საკითხი ისეთი საკითხია, რომლის გარშემო შოვინისტები ლაპარაკობენო. იგი ძალიან ცხარობდა ჰ სთქვა, რომ აქ ამისთანა საკითხია, ლტოლვილების საკითხია გადასაწყვეტიო. მაშინ, როდესაც ლტოლვილებზე კრინტიც არ იყო დაძრული თვის შეკითხვაში. მაშინ, როდესაც აქ ლტოლვილებზე კი არ იყო ლაპარაკი, არამედ იმაზე თუ ამ ლტოლვილებში დაშნაკელების პარტია რა პროფოკაციას ეწევა. ამ პროფოკაციის, ამ ღალატის შემჭნაზე არაფერი არ სთქვეს დაშნაკცანელების წარმომადგენლებმა. ამაზე მათ კრინტიც არ ამოუღიათ. მხოლოდ ერთმა სთქვა, როგორ შეიძლება ასე უცბად ასე მოუმზადებლად თავს დაგვესხა მთავრობა და მთავრობის პარტია და დროს არ გვაძლევთ, რომ მოვემზადოთ და მოვიქროთ რაშეო. და მოიფიქრებენ კიდეც: ხალხში უკვე დადის, თურმე ხმები, ხიდის აფეთქება სომხების ზარალი კი არ არის, არამედ ქართველებისა, რადგან მათ არ უნდოდათ, რომ გერმანელების ჯარი გასულიყო აქედანაო. მე მეშინიან, რომ ამისთანა ზღაპრებს თქვენ დაიჯერებთ, იმიტომ, რომ თქვენ სოციალისტები ხართ ინტერნაციონალისტები. თქვენიანს არაფერს დაუჯერებთ, ძაგრამ სხვებს კი, რაც უნდა ზღაპარი გიამბონ, მათ დაუჯერებთ.

ბატონმა დაშნაკცაკანმა, რომ ასე ილაპარაკოს, ეს გასაკვირველი არ არის, იმიტომ, რომ ეს მათი ხელობა არის. მაგრამ აქ მოუსმინეთ მეორესაც, დემოკრატიის წარმომადგენელს მენშევიკების, წარმომადგენელს ბ-ნ ფირუმოვს. რა სთქვა ფირუმოვმა? მან კრინტიც არ დასძარა არც აფეთქებაზე, არც პროვოკაციაზე ილაპარაკა. მან სთქვა, რომ საზოგადოდ მთელ ქვეყნიერებაზე, აფრიკაშიაც, ინგლისშიაც და სხვაგან, არიან შოვინისტები—კაცი ჰამია შოვინისტები. და ეს გვესმისო. რადგან ეს ყველანი ასეთ სამართლეს სჩადიანონ. მაგრამ აი აქ ამ კონკრეტულ მოვლენაზე, რომ ტფილისში ხალხს აჯანყებენ, კონკრეტულად მცხეთის ზემოდან ხიდს აფეთქებენ, ხალხში კონკრეტიულად აწყობენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჯანყებას, ინახავენ იარაღს, ისვრიან თოფებს. ამაზე არაფერი არ სთქვა და სთქვა, რომ საზოგადოდ, სადღაც, ვიღაც, რაღაც შოვინისტები არიან.

არა ბატონო, სომხის სოციალ-დემოკრატებო, მენშევიკებო, ჩვენ კი არ გვინდა, რომ საერთოდ შოვინისტების შესახებ ლათაიებით თავი მოგვგაგონოთ არა თქვენ უნდა დაჰგმოთ და ფაქტიურად სიტყვით და მოქმედებით წინააღმდეგობა გაუწიოთ და არა თანაუგრძნოთ. ჩვენ, „კონტრ-რევოლუციონერებს“ მაგისთანა ლათაიებით და სიტყვებით ვერ მოგვატყუებთ. ჩვენთვის სომხის სოციალ-დემოკრატია, დაშნაკცუთუნები და ყველა პარტია ერთნი არიან. ისინი ყველანი არიან სომხები, ერთი ჯურის ხალხი და თუ თქვენ გინდათ, რომ სოციალ-დემოკრატიის პარტიის თვალსაზრისით ეს ხალხი დაჰყოთ სხვა და სხვა ჯგუფებად, ამით თქვენ შეცდომაში ვერ შეგვიყვანთ. სომხის ხალხს, სომხის ერს განსაკუთრებული იდეა აქვს და ამ იდეას ანხორციელებენ მიუხედავად იმისა, რომ ამას მოაქვს დიდი და დიდი მსხვერპლი სომხებისათვის. დაშნაკ-ლები, ხელმძღვანელი პარტია, არ დაზოგავენ თავის ხალხს და მეორე ნახევარსაც გაჟლეტინებენ.

ნუ თუ თქვენ გგონიათ, რომ ამ გაჟლეტამ მათ ჭკუა ასწავლა? ისინი მეორე ნახევარსაც არ დაინდობენ; რაც უნდა დიდათ იყვიროთ, მაგრამ იმას კი იზამენ, რასაც აპირებენ. მაგრამ მე იმისი კი არ მეშინიან, რომ სომხის ერი სადმე დიდხანს გაბატონდეს. არა, ბატონებო, სომხის ერი ისეთი რამ არის, ისეთი ერთგვარი ბაქტერია არის, რომ მას შეუძლიან სხვა ერი დაშალოს, როგორც ოსმალეთი დაშალა, საქართველოც დაშალა, მაგრამ ფაქტიურად თავის ქვეყნის აშენებას კი ვერ შესძლებს. აი, როდესაც ისინი ასეთ პოლიტიკას აწარმოებენ საქართველოში და თქვენ ფიზიკურად, კონკრეტიულად ფაქტიურად არ ებრძვით, თქვენ ვერ შესძლებთ დაუშალოთ ასეთი მოქმედება და ამას მოჰყვება ის, რომ დაშლიან საქართველოს და თავისთვის ვერაფერს შეჰქმნიან, თავისთვის ვერაფერს აშენებენ.

რომ ეს არ მოხდეს, უნდა მოიქცეთ ის, როგორც იქცევიან ყველა დემოკრატიულ, კულტურულ სახელმწიფოში, როდესაც შიგნით ეწყობა აჯანყება, როდესაც ხიდს აფეთქებენ, როდესაც შინ გიწყობენ იარაღის საწყობებს, თქვენ უნდა მოსპოთ ფიზიკურად ინნიარიდ, რომ გაამეჯოთ ქვეყნიდან.

აი ჩვენი რჩევა და ჩვენი თქვენთან ერთად ყოფნა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ თუ ის სიტყვა, რომელიც ბრძანა ჟორდანიამ და ის ყვირილი, რომელიც გავიგონეთ ლომთათიძისაგან, შეეფერება სინამდვილეს და ეს ისეთივე დეკლარაცია არ არის, როგორც ეს ამას წინად მოხდა,—ჩვენ ხომ დეკლარაცია გავაკეთეთ ენის შესახებაც... მაგრამ მერე სრულიად ყირამალა დააყენეს ეს საკითხი,—მაშინ ჩვენ, რასაკვირველია, თქვენთან ერთად ვიქნებით და თუ საჭირო იქნება თქვენთან ერთად დავიხოცებით.

მაგ~ამ თუ თქვენ ისევე დეკლარაციით გამოხველ.ით, ისევე ილაპარაკეთ რიხით, როგორც დღეს და ხვალ კი გაზეთში წაიკითხავთ, რომ მთელი ვაგონი იარაღით, ჯარისაკებით და სურსათით მიდის სომხეთში და წაიკითხავთ, რომ სომეს ოფიცრებს ნება ეძლევათ თავის იარაღით ისეირნინ ტფილისში, და წაიკითხავთ მას, რაც ძირიანად ეწინააღმდეგება იმას, რასაც აქ ლაპარაკობთ თქვენთან ვერ ვიქნებთან, რასაკვირველია. აი ეს არის განსხვავება თქვენსა და ჩვენს შუა. ჩვენ, რასაც ვამბობ ვცდილობთ საქმეთ ვაქციოთ. თქვენ კი ამბობთ და სიტყვა ჰაერში გრჩებათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაბაშვილის სიტყვის შემდეგ ლაპარაკონ: **თარხანოვი** (სომ. სოც. ჩაგნ.) და **ავეტისიანი** (დაშნ.)*).

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის მთავრობის თავმჯდომარეს.

მთავრობის თავმჯდომარე ნიკ. ყორდანია. მოკლალექნო, მე მსურს მხოლოდ თქვენ მოგახსენოთ რამდენიმე ფაქტიური შენიშვნა.

ახლა აქ მოქალაქე ავეტისიანმა სთქვა, რომ ხდება მთავრობის და მთავრობის ფრაქციის წარმომადგენლების კრება და ამ თათბირზე, ამ კრებაზე ჩვენ ფრაქციას კი არ იწვევენო. მე უნდ ვსთქვა, რომ ეს არ არის მართალი. ასეთი შემთხვევა არა ყოფილა. და სწორედ არ ყოფილა ეხლა ამ შეკითხვის დროსაც. არავითარი ფრაქციათა კრება არ ყოფილა და არც შეიძლებოდა, რომ ყოფილიყვნენ იმ პარტიის წარმომადგენლები, რომელსაც ეკუთვნის ავეტისიანი.

მთავრობა ყველა ფრაქციებს საპარლამენტო თათბირზე ერთნაირად ეპატიჟება. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე სხდომაზე რაიმე პოლიტიკური კითხვა უნდა ვადასწყდეს, ამ სხდომაზე ვიწვევთ ჩვენ სუყველას და თითქმის არავითარ განსხვავებას (ვეშაპელი: თითქმის!) არ ვაძლევთ და შემდეგშიაც არ მივცემთ არც ერთ ფრაქციას.

მართლაც, მე ამას წინად მივიღე რეზოლიუციები, რომელიც მომიტანა ბატ. ავეტისიანმა, საქართველოში მცხოვრებ მათ დაშნაკელთა ორგანიზაციების კრების ერთნაირი პროტოკოლები და მართლაც რომ ამ კრების განაჩენები ეხება ჩვენს საერთო კითხვებს. ისეთნაირად იყო ეს კითხვები გადაჭრილი, რომ სრულიად დამაკმაყოფილა ადა თქვენც დაგაკმაყოფილებდად, ოუ გაიგრნეთ.

ამიტომ მე მაკვირვებს, რომ „ჰორიზონი“ რომელიც ასეთ რამეებს სწერს, ვისი ორგანო არის? თუ ის ორგანოა ცენტრალურ კომიტეტის, რომელიც მოქმედობს საქართველოში, მაშინ ის, რასაც იგი სწერს ერთია და ის პროტოკოლები, რომელიც წარმოადგინა ავეტისიანმა ის სხვა არის. მაგრამ მე ვიკითხე ვისი ორგანოა ეს „ჰორიზონი“ და გვითხრეს, რომ ეს არის ორგანო აღმოსავლეთ ბიუროსი, აღმოსავლეთ ბიუროსი დაშნაკცუტუნის პარტიისა.

მაშასადამე გამოდის, რომ ეს ყოფილა არა ორგანო ჩვენს რესპუბლიკაში მყოფ ამ პარტიისა, არამედ საერთოდ მთელ ამიერ-კავკასიის, ანუ ვთქვათ, დაშნაკცუტუნის პარტიისა.

თავისთავად ცხადია, რომ ეს ორგანო კითხვებს გადასწვეტს არა ჩვენი რესპუბლიკის თვალსაზრისით, არამედ სულ სხვა რესპუბლიკის თვალსაზრისით, სულ სხვანაირ თვალსაზრისით.

აი სწორედ ეს წინააღმდეგობა, რომელიც არსებობს დღეს ამ ადგილობრივი საზოგადო ორგანიზაციის და ამ საერთო მათ პარტიის ორგანოს შორის—და ეს ცენტრალური ორგანო აქ ჰქონია და არა ერევანში, ეს თავისთავად ცხადია, და ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ერთს ადგენენ საქართველოში მცხოვრები დაშნაკცაკანელთა ორგანიზაციები და მეორეს სწერს მათი ცენტრალური ორგანო „ჰორიზონი“.

მე მგონია, რომ მე სრულიად არა ვსდებ ბრალს ამ პარტიას; საერთოდ იმის მასსს ძლიერ ჰსურს, რომ იყოს მშვიდობიანად ჩვენს მასასსთან და სხვების მასასსთან, მაგრამ როგორც ამბობენ, ვინც აკეთებენ პოლიტიკას ხალხისას, ვინც არიან მოკალათებულნი ამ ცენტრალურ ორგანოში, აი ისინი არიან,

*) სიტყვა წარმოთქმულია რუსულად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონებო, რომელნიც ამღვრევენ წყლას და აქაც ანხორციელებენ იმას, რასაც აკეთებენ ყველგან.

უნდა ვსთვათ, რომ ეს ახალი ამბავი არ არის ჩვენთვის. ამაზე წინადაც გვითქვამს, გვიწერია, მაგრამ მიუხედავად ამისა ეს პარტია განაგრძობს თავის პოლიტიკას.

აი დღეს, აქ ბატონმა ავეტისიანმა სთქვა, რომ ოსმალებმა კომისიაში განაცხადეს, რომ ჩვენ არ ვაკეთებთ თქვენს ლტოლვილებს, წავიდნენ თვის გზით თავიანთ სახლებში და მან ეს დაიჯერა. ეს დაიჯერეს და ააშენეს ეს აგიტაცია. და როდესაც ჩვენ ვეუბნებოდით ეს ასე არ იქნება, მართალი არ არის, ასე არ იქნება საქმე—ჩვენ არ დაგვიჯერეს. ეხლა მე გეკითხებით: ვინ იცავს, ვინ მუშაობს ამ ხაზის სასარგებლოდ—ისინი, თუ ჩვენ? ეხლა მომივიდა დეპეშა. იქ წალაში ალბად მივიდოდა „ორიზონის“ ნონერი და იქ იტყოდნენ: წადით, თავისუფალნი ხართ, ის ოსმალები გვიშვებენ და მარტო ქართველები გაკავებენ. ეს უეჭველია დაიჯერეს ლტოლვილებმა და გადავიდენ საზღვარზე. მერე? აი ის ტელეგრამა, რომელიც მე მივიღე მაყაშვილისაგან (კითხულობს):

Цалкинскіе бѣженцы, переходятъ границу. Турецкія войска обстрѣливаютъ ихъ. По донесенію капитана Канделаки происходитъ цѣлое сраженіе. Со стороны турокъ открытъ артиллерійскій огонь. Бѣженцевъ забросали ручными гранатами. Убитыхъ много.

აი, ბატონებო, ასე სჩადიან ეს ჩვენი დაშნაკელები, ასე ზრუნავენ ისინი თავიანთ ხალხისთვის და თავიანთ ხალხს ასე ასამარებენ.

მე თქვენთვის მომინდია—ვისი პოლიტიკა იყო მართალი და მათთვის სასარგებლო, ჩვენი თუ დაშნაკელთა? (ტაში).

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს ირაკლი წერეთელს.

ირაკლი წერეთელი (ს. დ.) ბატონებო, დღეს ჩვენს პარლამენტში დაისვა ძირითადი საკითხი, რომლის გარდაწყვეტა, ჩემის ღრმა რწმენით; სწყვეტს მთელ ჩვენ ქვეყნის ბედ იღბალს.

უპირველეს ყოვისა ეს საკითხი უნდა იქნეს გადაწყვეტილი და სწორედ ამიტო ჩვენმა პარტიამ იმ შეკითხვაში, რომელითაც მმართავ მთავრობას, პირ და პირ, დაუფარავად დაადგინა ეს საკითხი.

საქმე ესე იყო: ზოგიერთ სომხის გეზეთში, დაშნაკელების პრესაში, რომელიც მუდამ უარყოფით უყურებდა ჩვენ დამოუკიდებელ საქართველოს,—უკანასკნელ დღეებში გაჩაღდა იმგვარი აგიტაცია საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წინააღმდეგ, იმგვარი ცილის წამება, ისეთი ალმაშფოთებელი ხმები, რომლის ერთად ერთი პოლიტიკური შედეგი, თუ რაიმე შედეგს მიაღწევს იქნება სომხის ხალხის საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში, აჯანყება ჩვენ-ალმდეგ ჩვენი დემოკრატიულ მთავრობისა, იქნება შეული და სისხლის ღვრა ამ ერთა შორის. და ეი ეს,—როგორც უდიდესი საფრთხე წამოუყენა წინ ჩვენ-ვა ფრაქციამ მთავრობას და შეეკითხა მას, თუ რაზომებს ღებულობს ის ამ საფრთ-ხის წინააღმდეგ. ჩვენი ფრაქციაც ამასთანავე შეეკითხა აქ მყოფ დაშნაკელ-ბის პარტიის წარმომადგენლებს: თუ როგორ უყურებენ ისინი ამგვარ აგი-ციას.

ბატონებო, ყველაზე ცუდი პოლიტიკულ ცხოვრებაში ის არის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საც მოქნეული მახვილი ჰაერს გააპობს და მოწინააღმდეგის კი ვერ ნაცემ-ჩვენ მოგიხსენეთ აქ დაშნაკელების წარმომადგენლების სიტყვა. იმათ გამოაცხადეს რომ თითონ ისინი ამგვარ პროვოკაციაში მონაწილეობას არ ღებულობენ. მაგრამ მათ არ გამოუცხადებიათ, თუ როგორ ეუურებენ ისინი ამგვარ აგიტაციას და თუ არ თანაუგრძნობენ მას, მოითხოვენ თუ არა ყოველგვარ ზომებს ამ პროვოკაციის ჩასაქრობად დემოკრატიულ თავვრობის მხრივ და დაუჭერენ.მას მხარს, თუ არა ამ ბრძოლაში? ჩვენ ამაზე პირ და პირი პასუხი ვერ გავიგონეთ, მაგრამ, ცხადია ის წარმომადგენლები, რომელნიც გვერდს უმეგენენ ამ საკითხს, რასაკვირველია მით გვიპასუხებენ, რომ ამ დიდი სფორთხის აცილებაში, რომელიც თავს ადგას საქართველოს დემოკრატიას, ეს დემოკრატია ენერგიულ თანამოძმეებს და მოკავშირეებს ვერ ჰპოვებს ამ პარტიის წარმომადგენლებში. ამიტომ არის, რომ ჩვენი დღევანდელი მსჯელობა უშინაარსოა და არ გამოვეიხატავს არსებულ ძალთა განყოფილებას.

ჩვენს ქვეყანაში ორი სრული მოპირდაპირე პოლიტიკური მიმდინარეობის შეხლა შეტაკებაა. რომ, ამ ტრიბუნაზე გამოსულიყვნენ დაშნაკელთა პარტიის პოლიტიკის დამცველნი და ღრმად დაასაბუთებს მიეცს თავიანთ პოლიტიკას და ამ პოლიტიკის თვალ საზრისით შეებრძოლებოდნენ ჩვენს დემოკრატიას, მაშინ ჩვენც საშუალება გვექნებოდა შეეხებოდით პოზიციას, მაგრამ ასე არ მოიქცნენ დაშნაკელების პარტიის პოლიტიკის დამცველები. სამგიეროდ, აქ ილაპარაკეს ბ. კედიამ, ყველაზე უკეთესად, ნამდვილ პარლამენტარულ ფორმებში, და ბ. გიბაშვილმა, ჩვეულებრივ ლაპაიებით, სწორედ დაშნაკელების ფრაქციის პოზიცია დაიკავეს.

როდესაც დღეს საქართველოს რესპუბლიკის თავვრობას დიდი საფრთხე მიეცლის, ბ. კედიამ და ნაციონალ-დემოკრატიის ფრაქციის წარმომადგენლებმა სწორედ დახატეს დაშნაკელების პარტიის სულის კვეთება.

დიახ, დაშნაკელების პარტიას ისე ესმის სომხის ეროვნული ინტერესები, როგორც წინააღმდეგი საქართველოს ხალხის ეროვნულ ინტერესებისა.

დიახ, მათ ისე ესმით, რომ ეს ორი შეუერიგებელი პოლიტიკური მისწრაფებაა და ან ერთმა უნდა შთანთქას მეორე და დაანგრიოს, ან და მეორემ უნდა შთანთქას პირველი და თქვენს ისე გესმით ქართველ ხალხის ეროვნული მისწრაფებანი, როგორც შეუერიგებელნი სომხის ხალხის ეროვნულ მისწრაფებებისა. სწორედ ამიტომ დღეს ამ პარლამენტში, არა პირდაპირ მათთან შებრძანდებით, ვინც უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს დღევანდელ ჩვენს რესპუბლიკის ცხოვრების პირობებში, არამედ მეორე პარტიასთან შეებრძოლებით, რომელიც ორივე პოზიციას იზიარებს. დღეს ჩვენ უნდა გამოვარკვიოთ ეს დიდი საკითხი, რომლის სწორი გადაწყვეტით იცოცხლებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და რომლის მრუდე გადაწყვეტა დაამხობს მას და მის მეზობელ ერებს.

ფრიდრიხ ლასალმა ერთი დიდი პოლიტიკური მცნება წამოაყენა, რომელიც მიღებულია არა მხოლოდ ერთი პარტიისაგან, არამედ, რომელსაც მოპოებული აქვს ცნობა ყველა პარტიისაგან: ნახევარი დიდ პოლიტიკურ საქმისა გაკეთებულია მაშინ, როდესაც წარმოითქმება ის, რაც არის პოლიტიკურ პარტიის პირველი დანიშნულება: სთქვას ის, რაც არის.

[illegible], მე მსურს სრულიად დაუფარავად აღვნიშნო ის, რაც ჩვენში არსებობს [illegible]ნაც ვებრძვით, ის, რაც სამართლიანად აღნიშნა ბ. კედიამ, მაგრამ [illegible]არ უთქვამს ყველა იმისგან დამოკიდებული შედეგები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიახ, დღეს ჩვენს წინ სდგას პარტია ნაციონალისტების, დაწნაკელთა პა-
რტია, რომელიც ფიქრობს, რომ სომხის ხალხის ეროვნულ იდეის განხორციე-
ლება და მიღწევა შეუძლება მაშინ, თუ მან დაანგრია ქართველი ხალხის ეროვ-
ნული და დემოკრატიული მისწრაფებანი. ჩვენ, მთელი იმ გამოცდილებით, რო-
მელიც მოგვცა წარსულში ამ ნაციონალისტურ პარტიის მოქმედებამ, და მთელ
იმ მოსცოს გათვალისწინებით, რომელსაც წარმოადგენს მისი დღევანდელი
აპიტაცია, გადაჭრით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ აქ მუშაობენ ისეთი ელემენ-
ტები, რომელნიც არა თუ არ ერიდებიან, არამედ სულით და გულით მიის-
წრაფიან იქითკენ, რომ აღიღვენ ჩვენს საზღვრებში მცხოვრები სომხები, და
გამოიყვანონ იარაღით ხელში საქართველოს დემოკრატიის და მთავრობის წი-
ნააღმდეგ და ისინი თავიანთ ეროვნულ გამარჯვებად ჩასთვლიან ამას, და თუ
შეტაკება მოხდა გამარჯვებული დარჩება სომხის ხალხი. ეს გამომდინარეობდა
ბ. კედიას სიტყვიდან. ეს არის განზრახვა ნაციონალურ პარტიისა, რომელსაც
ჩვენ დღეს ვებრძვით, ვინაიდან ამ განზრახვის განხორციელებაში ვხედავთ ჩვენ
დიდ ხიფათს, დიდ საფრთხეს ქართველ ხალხისთვის და სომხის ერისთვის.

მაგრამ მე მინდა ვსთქვა ის, რაც არის აგრეთვე მეორე ბანაკში, რომე-
ლიც დღეს იმდენად ფრთა შესხმული არ არის, იმდენ საშიშროებას არ წარ-
მოადგენს, მაგრამ რომლის პოლიტიკაზე დღეს ბევრი რამ წარმოსთქვეს. მაგ-
რამ ბოლოშდის კი არ უთქვამთ. მე ეფიქრობ, ის, ვინც უყურებს სომხის ნა-
ციონალურ მოძრაობას ისე, როგორც ნამდვილ ეროვნულ მოძრაობას, რომე-
ლიც ძირიანად ეწინააღმდეგება ქართველ ხალხის ეროვნულ მოძრაობას. თუ
მან გულწრფელად სთქვა თავის გულის ნადები, მან უნდა სთქვას, რომ საუკე-
თესო ქართველ ხალხისთვის ის არის, თუ ეს განზრახვა მეორე ბანაკის შეტაკე-
ბისა სისრულეში მოვიდა. მაშინ დამარცხებული დარჩება სომხის ხალხი და გა-
მარჯვებული დარჩება ქართველი ხალხი. თუ ორ შეურიგებელ წინააღმდეგო-
ბის ბრძოლა მოხდა, ძლევა და გამარჯვება დარჩება ქართველ ხალხს. მხოლოდ
შეიძლება განადგურდეს სომხის ხალხი. ეს პირდაპირ უნდა ითქვას, ეს არის
ერთი პოლიტიკა საწინააღმდეგო მიზნისაკენ მიმართული, ერთ პრინციპზე აღ-
მოცენებული.

მე მსურს საქართველოს დემოკრატიის სახელით გამოვაცხადო, რომ შე-
ურიგებლად, სანამ ძალა შეგვრჩება შევებრძოლებით ყოველგვარ პოლიტიკას
ამ პრინციპზე აღმოცენებულს, იმიტომ, რომ ბატონები, თუ მოხდა შეხლა შე-
ტაკება ამ ორ ხალხთა შორის, გამარჯვებული დარჩება, თუ დამარცხებული
ქართველი ხალხი, მისი მომავალი დაკარგულია და ის მეზობლებთან ბრძოლაში
სისხლით დაიცლება, ისე, როგორც დაიცალა ყოველი ერი, რომელიც აჭედა
ნაციონალისტების ავანტიურას.

ჩვეულებრივ, ბატონებო, მე არა მგონია, რომ აქ, ამ კრებულში, ვინმემ
რაიმე ეროვნული მიკერძოება, რაიმე ნაციონალიზმი დამწამოს, მაგრამ მე უნ
ვსთქვა, რომ ჩვეულებრივ ერთი ეროვნული მიკერძოება არსებობს ჩვენში,
როგორც ბევრ ეროვნულ დემოკრატში. ჩვენ ქართველი რევოლუციონერები
თველი შოვინისტები და ქართველი შავრაზმელები, განსაკუთრებით
ბიან, და განსაკუთრებული ენერგიით ჩვენ ვებრძვით, სწორედ ქა
ციონალისტებს, ქართველ შავრაზმელებს, მაგრამ დღეს ჩვენ წინ
საშიშროება წარმოსდგა არა ქართველი ნაციონალისტებისაგან
განზრახულ ავანტიურისგან, არამედ სომხურ ნაციონალ
დაწნაკელების პარტიის განზრახულ ავანტიურიზმისაგან.

ისე, როგორც ერთ დროს ჩვენ ნაციონალისტებს მო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპიული კოალიცია ჩვენს საზღვრებში ფრთებს შეასხამდა მათ ნაციონალ-ლისტურ მიდრეკილებას და ჩვენ შევნიშნეთ რა, მათი ნაციონალისტური ავანტიურისტული სულისკვეთება და მიდრეკილება, მთელი ჩვენი ენერგია ამის წინააღმდეგ მივმართეთ,—ისე ეხლა ჩვენ ვხედავთ, რომ სომხურ ნაციონალისტურ ბანაკში მეორე ევროპიულ ძალის მოახლოვებამ, რაღაც ფარული ზრახვა და ბნელი მისწრაფებანი გააღვიძა და მათ იმედებს ფრთები შეასხა. და აი აქ, აი ამ ავანტიურის წინააღმდეგ ჩვენ გვსურს ვიბრძოლოთ ისეთივე ენერგიით და თავგამოდებით, როგორც მაშინ ქართველ ნაციონალისტების ავანტიურას ვებრძოდით (ტაში).

დიახ, ბატონებო, ჩვენ ვდგებით იმ ნიადაგზე, რომელიც უარჰყოფს რომელიმე ერის ეროვნულ მისწრაფებას წინააღმდეგ მეორე მისი მეზობელ ერის ეროვნულ მისწრაფებისა. და როდესაც ბ. დაშნაკელების წარმომადგენელი დღეს უკიერნებს ქართველ ნაციონალისტებს, რომ ოდესღაც ისინი ავანტიურისტულ საშუალებით შეეცადნენ დიპლომატიურ გზით მოეწყოთ ქართველი ხალხის კეთილდღეობა, ფარულად, წინააღმდეგ მისი მეზობელი ერისა, მე ვკითხულობ: ამ ბრალების დროს, მაშინ, როდესაც აქ ასეთი საშიშროება მოეკლინა ჩვენ ხალხს და ამიერ-კავკასიას, როგორ უყურებენ ისინი მეორე გვარ მახინაციებს, იმ მახინაციებს, რომლებსაც სწორედ ეცნო ძალის დახმარებით მეზობელ ერების წინააღმდეგ მიმართავენ სომხის ის ნაციონალისტები, რომლებიც, როგორც ორი წვეთი წყალი ჰგვანან ჩვენ ნაციონალისტებს. და თუ ეს ასეა, რატომ სდუმან ისინი მეორე გვარ მახინაციებზე, რომელიც აღვივებს ნაციონალისტურ შფოთს, და რომელთაც მიმართავენ სწორედ იმ პარტიის წარმომადგენლები, რომლებიც ლაპარაკობენ, და რომლებმაც გადაჭრილი პასუხი არ მოგვცეს, როგორც მაშინ, ისე ეხლა.

ჩვენ ვებრძვით ყოველგვარ განზრახას, ხალხის ზურგს უკან რაიმე გარეშე ძალის მოყვანას და მის ბედ იღბლის ასე თუ ისე შეტრიალებას და მის მეზობლის ბედ-იღბლის დასამზობად. ჩვენ ვვგონია, რომ როგორც მაშინ შესცდნენ ჩვენი ნაციონალისტები, რომლებმაც იფიქრეს, რომ ევროპიული ძალა მოეკლინა ამ ჩვენ ქვეყნის დასანგრევად და გასანადგურებლად და ერთად ერთ საფუძველის მოსასპობლად, რომელიც საშუალებას აძლევდა ამ მცხოვრებთა ერთი სახელმწიფოში ჰამოყალიბების, როგორც მაშინ გამტყუნენა მათი ეოლოდინი და ევროპიულმა ძალამ თითონ დაინახა, რომ მთელი დემოკრატიის გამარჯვება შეიძლება მხოლოდ სოლიდარობის წესით და ევროპიულ მისწრაფების გამაგრებიო წინააღმდეგ აზიურ მისწრაფებისა,—ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ასევე მოხდება ეხლაც, ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ეს გულის ზრახვა არ ასრულდება. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ თუ ევროპიული ძალა გ ჩნდა აქ, და შემოდგა ფეხი ის იძულებული იქნება იცნას დემოკრატიული პრინციპი და გაამაგროს ის (ვაშა! ტაში). და ისე ხელცარიელი დარჩებიან ის ბატონები, რომელნიც ლამობენ გარეშე ძალა, ევროპიული ძალა გამოიყენონ თავისი აზიური, თავისი ბარბაროსული მოქმედებისათვის (ტაში).

[illegible]და მე აქ ერთი რამ უნდა განვაცხადო: ბატონი ნაციონალისტები გვეკ[illegible]ნ, რომ ჩვენ ვიმეორებთ ყველა მას, რასაც ისინი ამბობდნენ დაშნაკეტ[illegible]ტრიის შესახებ, რომ საოცარ ბრალდებას ვაყენებთ წინააღმდეგ იმ [illegible]ხედავთ მასში საშიშროებას, ჩვენ ვხედავთ მათ აგიტაციას ნამდვილ[illegible]ად არ ვაკეთებთ ისეთს შედეგებს, როგორც ისინი ვგვაკრანახებენ. [illegible], ჩვენ ვხედავთ ამ საშიშროებას, ჩვენ სწორედ ვახასიათებთ იმ [illegible]ს, რომელიც არსებობს, მაგრამ ჩვენ კარგად ვიცით, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შედეგები დამოკიდებული არის არა მარტო ერთ მხარის მოქცევაზე, არამედ იმაზე, თუ როგორ დაუხვდება მას მეორე მხარე. შედეგი ერთა ურთიერთობისა არ არის მხოლოდ ერთი ერის მასაში გამატონებულებზე დამოკიდებული, არ არის დამოკიდებული აგრეთვე მეორე ერის მასაში გამატონებულებზე. ჩვენ შეგვიძლიან დავამტკიცოთ მოწინააღმდეგენი ცეცხლით და მახვილით, არ დავეიჯოთ შეტაკებას, ჟლეტას,—ასე მოიქცა ორი სხვა და სხვა მიმართულების ხალხი და ვიცით, რომ ორივეგ წაგო, ორივე სისხლით დაიცალა, მაგრამ ჩვენ ვამხელთ არა იმავე სურვილს, არა იმავე განზრახვას, არამედ ვამხელთ მათ მოქმედებაში ამ პროვოკაციაში მათი ხალხის წინააღმდეგ-ბას ჩვენ უარეყოფთ, რომ მათი ხელმძღვანელების ცოდვები მთელ მასას, მთელ ხალხს მოვახვიოთ თავზე. ჩვენ უარეყოფთ სასტიკ ზომებს, რომლებიც ხალხის წინააღმდეგ არიან მიმართულნი. ჩვენ ამის ნაყოფობს კიდევაც ვხედავთ.

დიახ, ბატონებო, ჩვენ რომ აქამდის მოგვეფიქრებინა ისე, როგორც ჩვენნი გსურთ და როგორც მოიქცნენ მუსავატელები ბაქოში მტერთან ბრძოლაში, ჩვენ ვეღარ ვეტყოდით სიამაყით მთელ დასავლეთ ევროპას, მთელ კაცობრიობას, რომ მიუხედავად პროვოკაციისა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მეზობლები ეროვნულ შეღლის გამო სისხლით დაიცალნენ, აქ საქართველოს ტერიტორიაზე და ჩვენ დედა ქალაქში ტფილისში არ დაღვრილა ერთი შორის შეტაკების დროს მათი სისხლი და არ დანგრეულა არც ერთ ერის ცხოვრება (ტაში).

თქვენ, რომ გვეუბნებით, ბატონებო, ისე შეებრძოლეთ, როგორც ისინი გვებრძვიანო, თქვენ იცით, რომ მაგათი გული ზრახავდა ეს ერის, არ ვიცი გავიმარჯვებთ თუ არა, რომ შეებრძოლოთ, მაგრამ ბატონებო, მათ სურთ რომ გამოიწვიონ ტფილისის ქუჩებზე ის, რაც იყო ბაქოს გუბერნიაში. ჩვენ რომ ბ. ვეშაპელის სიპრძნეს მივდიოთ, ეს უკვე რამდენჯერმე მომხდარი იქნებოდა, მაგრამ ბატონებო, მაგათ ბევრთ უფრო ეშინიათ ამნირ ბრძოლისა, რადგანაც ჩვენ ეროვნულ ბრძოლის ფრონტზე არ გვინდა შეეტაკოთ და მოუწოდებთ სომხის ერის დემოკრატიას დადგეს ჩვენს დემოკრატიულ ფრონტზე. ჩვენ გვწამს, რომ ასეთი ბრძოლა —ერთად-ერთი ბრძოლაა, სადაც დაშნაკელებს არ გაუმარჯვნენიათ. (ტაში) მუსავატისტებზე მათ მრავალჯერ გაუმარჯვნიათ, მუსავატებსაც სამაგერო მიუზღვიათ, მაგრამ არის ერთად-ერთი პარტია ერთად-ერთი ხალხი, არა მარტო პარტია, ხალხი, რომელიც ამ დროშის ქვეშ სდგას, რომელზედაც არ გაუმარჯვნიათ არც ერთ ნაციონალურ პარტიას: არც მუსავატისტებს, არც დაშნაკელებს, არც ქართველ მუსავატისტებს და დაშნაკელებს... (ტაში) ბატონებო, თქვენ ამბობთ, რომ გესმით ჩვენგან ლამაზი სიტყვები, მაგრამ ჩვენ საქმეს კი ვერ ხედავთ. ამას ამბობს აქ ბატონი გაბაშვილი. მაშ ალბად, ბ. გაბაშვილს სადღაც გაუგონია, ვინმე ჭკუიან კაცს უთქვამს ის თავის მოწინააღმდეგეებზე, რომ ლამაზ სიტყვებს ამბობს და ზედგი არ დგებაკელებს... მაგრამ იმ ლამაზ სიტყვებს და საქმეებს, რომლის გაკეთებაც შესაძლო სომ-დემოკრატიამ, შეიძლება ჯერ მთელი თავისი ნაყოფი არ მოუტანიათ, ერთი შედეგი მაინც მოიტანეს: —მათ აიკიღეს ქართველ ხალხს ეროვ-სხლის ღვრა, შოიპოვეს და დღეს-დღეობამდის დაიტოვეს დამოუკიდ-მოკრატიული სახელმწიფო. (ტაში) აი ამას ხედავთ ბატონებო, ... არის შედეგი. (ხმა: ჯერ კიდევ ბევრი რამ...)

დიახ, ბატონებო, ამას დასჩხავიან ზაფი ყორნები, მა... ლეთ ის, რაც თქვენს მიმდევარ მომხებს და სხვა მეზობ... აუცილებიათ. (ხმა: თქვენი ნიმდეერები ავსტრიაში?)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებრძოდნენ ავსტრიაში თქვენი მიზდევრები ჩვენს მომდევრებს, მაგრამ ენერ-
დაიწყეს მათი დასამარება...

აი, ბატონებო, ჩვენ მივმართავთ საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას
ის მოთხოვნით, რომ სასტიკად შეებრძოლოს ყოველგვარ პროვოკაციას და
ოვაციონ ამ პარტიისაგან, რომელმაც გამოიგონა სხვა ერის ნაციონალისტების
ტაქტიკა ავანტიურულ მისწრაფებისა, რომლებიც ფიქრობენ, რომ დღეს დადგა
მათთვის დღესასწაული როგორც ამას წინად ფიქრობდნენ ჩვენი ნაციონალი-
სტური პარტიები.

ჩვენ მათ უნდა შეებრძოლოთ იმ მეთოდებით, რომელიც დღევანდელ
თავის სიტყვაში აღნიშნა მთავრობის თავმჯდომარემ და რომელნიც განამტკიც-
ებენ პოლიტიკურ ტრადიციებს და დემოკრატიის პოლიტიკას; იმ მეთოდე-
ბით, რომელიც სთიშავს მოწონაღმდეგეს მის ხალხის მასიდან, რომელიც უპი-
რდაპირებს ჩვენს დემოკრატია სარა ერს, არა ხალხს, არამედ ავანტიურას, რო-
მელნიც ხშირად საავანტიურო მომზადებაში და მოქმედებაში არ ერიდებიან
ამისთანა ნაბიჯებს იმის შიშით, რომ არ დაკარგონ თავის მა.ის თანაგრძნობა
ამათ უნდა შეებრძოლოთ სასტიკათ, მაგრამ იმ გზით, რომ, როგორც დღემ-
დის დაუტოვა ისე მერმისთვის საქართველოს დემოკრატიმ დ.უტოვოს, რომ
მან თავისი დემოკრატიული წყობილება შეინარჩუნა არა ეროვნულ შეღლის
გაჩაღებით არა სხვა რამე უბედურებით, არამედ სოლიდარობისკენ მისწრაფე-
ბის და სხვის ბედნიერების გამაგრებით, რომ მათ სიტყვას მოჰყვა ეს შედეგი,
რომელიც ბრმა ნაციონალისტებს ვერ დაუნახავთ, ეს შედეგია,—რომ იყვეს,
იზრდებოდეს დ რჩებოდეს საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა (ტაში).

ალ: ფარნიევი (ს.-დ.) მოქალაქენო, ჩვენი ფრაქციის სახელი უნდა გან-
ვაცხადო, რომ იგი არასოდეს არ იზიარებს სიძულვილის პოლიტიკას.

აი, მე მინდა სწორედ იმ აზრზე ავაგო ის ორიოდე სიტყვა, რომელიც
მინდა გითხრათ: აქ ლაპარაკობენენ იმაზე, რომ სომხის ერი, როგორც ასეთი,
იღვიძებს, იზრდება ქართველ ერის წინააღმდეგ. ეს აზრი არც უტყუარია. ის-
ტორიული მაგალითებით და საბუთებით არის დასამტკიცებელი. თუმცა აქ ბ.
კედიამ მოიყვანა მეცამეტე საუკუნის დრო, მეფეებისა და სხვა. ვისმინეთ ერთ-
გვარი ბაასი, ლაპარაკი, (ვეშაპელი: „ბაასი არ ყოფილა") აქ ლაპარაკი იყო,
ჩვენი ფრაქციის შეკითხვა სრულიად არ იყო აშენებული იმაზე, რომ სომხის
ერი ახლეს აჯანყებას, აქ იყო ბრალდება წამოყენებული მხოლოდ დაშნაკელე-
ბის პარტიის წინააღმდეგ, რომ ამ პარტიას შეუძლიან თუ არა გაამართოს
თავისი შეცდომები და უარჰყოს ის პოლიტიკა, რომელსაც მისდევს სისხლის
ღვრა.

ბ. ავეტისიანმა კი პირიქით ბრალდება წამოაყენა მთავრობის წინააღ-
ა, რომ მთავრობა ვერ აქცევს ჯეროვან ყურადღებას ლტოლვილების სა-
, რომ ის ამ საკითხს ვერ სწყეტს ისე, როგორც მოითხოვს ამას სოხნის
ლ რესებიო. მე ვფიქრობ, რომ მათ სხვანაირათ არ შეუძლიანთ მოქმე-
ბტიან, რომლის პრესაც ასე სწერს, სხვანაირად არ შეუძლიან მო-
ლ დღეს დაშნაკცუთუნის პარტიის წარმომადგენლებს არ გაუზია-
ბსენის მთელი ხაზი, როგორც ასეთი, როგორც ზორიანმა მოგა-
ზე უფრო ლმობიერად მოიქცა ავეტისიანი, რომელმაც გა-
, და ამბობდა, რომ ეს შეცდომები არის სხვა და სხვა ქვე-
ს ,ელების პარტიის მოქმედება ბრძოლა მის წინააღმდეგ
ავეტისიანი ნათლად ამბობდა: გახსოვს თქვენ, როდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საც ქალაქის თვითმართველობას ვირჩევდით იმ დროს თქვენ ჩვენს ფიზიკურ ძალ-მიას აძყდენებდითო; მაშასადამე არ სურთ აპატიონ სოც.-დემ. ის, რაც მათგან ახსოვთ. თქვენ გახსოვთ, როდესაც გლეხების ყრილობაზე ჩვენს წინაღმდეგ გამოილაშქრეთო. მაშასადამე აქ ახსოვთ ეს, მაგრამ არ ახსოვთ ის, როდესაც გამდიოდნენ სოციალ დემოკრატიის წინააღმდეგ იბრძოდნენ. აქ ჩვენი მთავრობის სათავეში უმთავრესად სოციალ დემოკრატები არიან; მაშასადამე სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ არის ეს ბრძოლა გაჩაღებული. ჩვენ ვგვონია და დარწმუნებულნი ვართ, რომ როგორც საქართველოს ისე სხვა დემოკრატია, როგორც დღეს ისე მომავალში შესძლებს ამ დემოკრატიულ წესწყობილების დამყარებას და დაგვირგვინებას.

შერე არა ნაკლებად იბრძვიან სოციალ დემოკრატების წინააღმდეგ აგრეთვე პარლამენტის წევრი გაბაშვილი და სხვები. მან აქ თავის გამოსვლაში რა სთქვა მაინ და მაინც დაშნაკელების პარტიის მოქმედების წინააღმდეგ? არაფერი. მან თავის სიტყვაში თავიდან ბოლომდის მხოლოდ სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ ბრძოლას მოანდომა. თქვენ მყვირალა ხალხი ხართ, თქვენ ბევრი ლაპარაკი იცით და საქმის გაკეთების უნარი კი არ გაქვთო. განა ეს ბრძოლა არ არის? ეს იგივე ბრძოლა არის, რომელსაც აწარმოებენ დაშნაკელები და მე ვფიქრობ, რომ სწორედ ის, რაც ხდება აქ ნათლად ამტკიცებს რომ ერთი პოლიტიკის ხალხი არიან ეს მემარჯვენენი. თუ ჩვენ, ბატონებო პარლამენტის წევრი გაბაშვილი გვისაყვედურებს, რომ აი აქ თქვენი მეგობრები დაშნაკელები არიანო. მე ვწუხვარ, რომ ისინი ამ სკამებზე სხედან და არა ამ სკამებზე, გულით და სულით ისინი ერთ და იგივე საქმეს აკეთებენ: იბრძვიან დემოკრატიულ წესწყობილების დამყარების წინააღმდეგ. ამის შესახებ მე ვფიქრობ, რომ ის ნაბიჯები და ის განზრახვა, რომელსაც დადგა მთავრობა, ეს არ არის სიტყვა, ეს არ არის ყვირილი, არამედ ეს არის ნამდვილი საქმე. თუ ეროვნულ-დემოკრატების ზოგიერთ ნაწილს მაინც და მაინც სურს, რომ მთავრობა შეეჯახოს პირდაპირ სომხის ერს, მე ვფიქრობ, რომ ჩვენ მთავრობას იმდენი ცოდნა და იმდენი გამოცდილება მაინც და მაინც აქვს, რომ არ აქვეს აი ასეთ მოწოდებას. პირიქით ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ის შეებრძოლება ასეთ მოწოდებას, ამავე დროს იგი იბრძოლებს დაშნაკელების მოწოდების წინააღმდეგ.

აქ ჩვენ ბ. თარხანთვმა გვიამბო, თავის აზრი. ისიც ილაპარაკა, რომ თქვენ სოციალ-დემოკრატები არა ხართო, თქვენგან ისწავლეს აი ასეთი საბუთებიო. თქვენ სოც.-დემოკრატებმა და მთავრობამ მოაწყეთ საქმე ისე, რომ სომხის დაშნაკელებს არ ჰქონდეთ საბუთი ილაპარაკონ მთავრობის წინააღმდეგო. ეს ყველაფერი სთქვა თარხანოვმა, მაგრამ რა უნდა გააკეთოს მთავრობამ და სოციალ-დემოკრატიამ იმის შესახებ კი თარხანოვი-გაჩუმდა, არაფერი სთქვა. თავის სიტყვაში. თარხანოვი ფიქრობს, რომ ის ნაბიჯები, რომელსაც სდგავს სომხის პარტია დაშნაკელებისა, არის გამოწვეული მთავრობის ვითომდა უმოქმედობით. მაგრამ არც ერთი ნაბიჯი მთავრობისა არ მოუყვანია ისეთი, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ამ სომხების ლტოლვილების საკითხს.

ბ. ავეტისიანმა განმარტა, რომ მთავრობა არ აქცევს სათანადო ყურადღებას ამ ლტოლვილების საკითხსო. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ეს არის უბრალო სიტყვა და მეტი არაფერი. ვფიქრობ იმისთვის, რომ სწორედ სომხის პარტია დაშნაკელებისა, როგორც ეხლა, ისე უწინ, ძველ რეჟიმის დროს, ისე იქცეოდნენ, ასეთ პოლიტიკას აწარმოებდნენ. მათ ასეთი მოქმედება, ასეთი ნაბიჯები ახასიათებთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენში არავინ აშენებს სომხის ხალხის უბედურებაზე თავის ბედნიერებას და არ ფიქრობს ამით მოიპოვოს ნდობა სომხის ერში.

როგორც ფირუმომვა გამოაცხადა, დგება ახალი ხანა, არა ისეთი ხანა, რომელზედაც ავეტისიანმა განაცხადა, რომ საერთაშორისო საქმეა ამიერ-კავკასიაში ერთა გაერთიანების გადაწყვეტა, ასეთი ხანა კი არ არის, არაფერ მეორე ხანა, ავანტიურისტების ხანა. და ვფიქრობ, რომ სწორედ ამ ავანტიურაში მოიტეხენ კისერს დაშნაკელები.

მე მახსოვს, სწორედ ამ ადგილას ამიერ-კავკასიის სეიმის დროს, თუ არა ვცდები მეორე კრებაზე ნ. ჟორდანიამ ასეთი სიტყვით მიმართა დაშნაკელებს: თქვენ დაღუპენ, და ვამბობ კიდევ დაღუპავენ მათ. დაიხსომეთ ჩემი სიტყვა: ის, რაც დაღუპეთ—დაღუპეთ, ის, რაც დარჩ, იმასაც დაღუპავთო. მაგრამ მათ დაღუპვაზე ჩვენ არ შეგვიძლიან ჩვენი საქმე ავაშენოთ, სხვის უბედურებაზე არ შეიძლება ვინმემ ააშენოს თავისი ბედნიერება.

ზოგიერთი ნაციონალ დემოკრატი, განსაკუთრებით გაბაშვილი ამაზე აშენებს თავის სიტყვას: აი დაშნაკელები ასეთნი არიან, და თქვენ ამიტომ უსათუოდ ბძროლა უნდა გამოუცხადოთ სომხებსო. მაგრამ ასეთი პოლიტიკაზე სოციალ-დემოკრატები არასოდეს არ მდგარან და არც დადგებიან. თქვენ ჭკუის სწავლობთ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში. რა თქმა უნდა, თქვენ დიდი მოწინავე ხალხი ხალხი ხართ, დიდი ცენნი გაქვთ, იცით რაც უნდა აკეთოთ. თქვენ აზროვნობთ ისე, რომ ერთი შორის უედა ჩამოვარდეს შუღლი, და განხეთქილება. თქვენი მიმართულება ესაა. თქვენ ყოველ ნაბიჯით ამას ამტკიცებთ. თქვენ რასაკვირველია მოელოდით, რომ დაშნაკელები თქვენზე გამოვიდოდნენ და ესენი ერის სახელით ილაპარაკებდნენ. მაგრამ, როგორც თქვენ ხართ ერთ ჯუნეულში შეჯგუფებული, ისე დაშნაკელები შეჯგუფებულნი.

მე დარწმუნებული ვარ, რომ სომხის ერი მიხვდება ისე, როგორც ქართველი ერი მიხვდა, რომ ორივენი არიან დამღუპველნი ერისა, დემოკრატიისა, თავის ხალხისა (ტაში მარცხნივ).

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს მიკირტუმოვს.

მიკირტუმოვი. (ს.-დ.) ბატონებო, აქ პარლამენტის წევრმა ბატონმა გაბაშვილმა ჯერ ამხანაგი ფირუმოვი მონათლა დაშნაკციუტუნად, მერე კი საკვედური გვითხრა, რომ თქვენ გულახდილათ არ სთქვით და არ დაახასიათეთ დაშნაკელებიო. მე მგონია ბ. გაბაშვილი დაკმაყოფილებული იქნება ამხანაგი ირაკლის სიტყვის შემდეგ (გაბაშვილი: ირაკლი სომეხი არ არის?) კი ვიცი, სომეხი არ არის, მე მაინც ვაცხადებ საჯაროდ. დიახ, ბატონო გაბაშვილო, სომხის დემოკრატია, აგრეთვე როგორც ქართველი და სხვა ერების დემოკრატია, სასტიკად ჰიცხავს და გმობს ყოველგვარ პროვოკაციას. ჩვენ ვკიცხავთ ყოველგვარ დაუსაბუთებელ ბრალდებას, იქნება ეს ბრალდება დაშნაკელების, „კლდეებში“ თუ დამოკიდებულ ან დამოუკიდებელ „კლდეებში“. დასასრულ მე მოკლედ ვიტყვი. ერთი მოსაზრება უნდა ვსთქვა. (ეშაპელი: დასასრულ!).

დიახ, ძალიან კარგი იქნება ბ. ეშაპელო, თქვენც რომ მოკლე ლაპარაკს ისწავლიდეთ.

მე უნდა მოგახსენოთ, რომ ამ დარბაზის კედლის გარეშე სდგას განსაკუთრებით მძლავრი ქართველი დემოკრატია, რომელიც სომხის და სხვა ერების დემოკრატიასთან ხელი ხელ ჩაკიდებული განაგრძობს თავის გზას და ამბობს: ვინც რა უნდა სთქვას, ჩემმა წესქვილმა კი ფქვასო. ჩვენ ხსნა,—ამბობს ის,—სვენი ბედნიერება ეროვნულ სოლიდარობაში და ერთობაში არის, სოლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარობას და ერთობას ვერავინ ვერ წამართმევს ვერც ერთგვარი კაცობრიობა შოვინისტები და შავრაზმელები, საიდანაც უნდა იყვნენ".

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს ვარდიანელს. (ხმა: ვარდიანელი უარს ამბობს) არის შემოტანილი წინადადება შესწყდეს კამათი ამ შეკითხვის შესახებ.

ვის ნებავს სიტყვა ამის წინააღმდეგ? სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს მიხეილ მაჩაბელს.

მ. მაჩაბელი. მე ეს უნდა აღვნიშნო ალბად რაღაცა გაუგებრობა მოხდა. გაბაშვილის მერე მე ვიყავი ჩაწერილი და ალბათ მარათი დაიკარგა თუ რაღაც გაუგებრობა არის.

ჩემის აზრით, ყველას უნდა მიეცეს ნება, რომ თავისი აზრი გამოსთქვას იმაზე, რაც აქ გამოითქვა. ნამეტნავად მაშინ, როდესაც იმის მაგივრად, რომ მიმდინარეობა ისეთი ყოფილიყო, როგორც საჭირო იყო, ე. ი. შეკითხვაზე ლაპარაკი ყოფილიყო და იმ პროვოკაციაზე, რომელსაც აწარმოებს დაშნაკცუტების პარტია თავის ორგანოში,—ამის მაგივრად აქეთ და ნაციონალ-დემოკრატების წარმომადგენლებმა ეშვი შეიტანეს მთავრობის მოქმედებაში,—აქ ჩვენ შესახებ მოუნდნენ ლაპარაკს და საკითხის შესახებ სულაც არ ითქვა რა.

ბ. წერეთელმა აღნიშნა, რომ ვითომც აქ იყვნენ ისეთნაირად სისხლის ღვრის მომხრენი. თითქოს აქ იყოს მთავრობის წინააღმდეგ [illegible] ზე ლაპარაკი. ბატონებო, აქ მთავრობის წინააღმდეგ კი არ არის ლაპარაკი,—ჩვენ მოვითხოვთ რამე ზომების მიღებას მათ წინააღმდეგ. ჩვენ მოვითხოვთ, რომ ისინი, ვინც ასეთ პროვოკაციას ეწევიან ან ცოხეში ჩასვან, ან დაუკეტონ გზეთი, ან კიდევ მათ წინააღმდეგ მიიღონ სხვა და სხვა ზომები, რომელიც ხელთ აქვს მთავრობას. ამისთანა ბრძოლას ჩვენ ვერ ვხედავთ, ჩვენ ვერ ვხედავთ, რომ სასტიკი ზომები იყოს მიღებული. ჩვენ ეს ვსთქვეთ და აქ კი არც აციეს არც აცხელეს ბატონმა მიკირტუმოვმა და სხვებმა, რასაც ვირველია, ბ. მიკირტუმოვს მე არ ვიცნობ, როგორც ბ. ირაკლი წერეთელის ანხანაკ, რომელიც გადმოვიდა, მოგვარად და ჩვენ შავ-რაზმელები გვწოდა. ამაზე ჩვენ ნება უნდა მოგვეცეს, ჩვენ იმის ნება მაინც უნდა მოგვ ცეს, რომ ვსთქვათ: საქართველოში შავ-რაზმელები არ არსებობენ და აქ არა სხედან შავ-რაზმელები". თქვენ ზნეობრივი უფლება არა გაქვთ, რომ გადაუხეიოთ გზას.

ბ. ავეტისიანი სულ სხვა ნიადაგზე იდგა—მტრები იქ კი არ არიან, მაინდა სხედანო.

ჩვენ მართლა ბევრ კარგ სტვმებში გავეცებით ირაკლი წერეთელს და იმის მომხრეს, როცა ის საქართველოს დასაცველად გავა, მაგრამ ნება მაინც გვქონდეს, ვსთქვათ, რომ აქედან ჩვენ არ გამოკიდეთ მოღალატეებად და ისინი კი (მიუთითებს დაშნაკელებისაკენ), მოყვრებად.

თავმჯდომარე. ორატორები ამ რიგად არიან ჩაწერილნი: (კითხულ[illegible] შემდეგ გახლავთ ბ. მაჩაბელი, რომელიც მოგვითხრობს, რომ უთმობს [illegible] ბ. ვეშაპელს. აი, ბატონებო ის მარათები. აქ შეიძლება იყო კიდევ [illegible] თი (ხმა: იყო გაბაშვილის მერე). შეიძლება, მაგრამ მე, სამწუხა[illegible] არა მავქს ის მარათები და მე წავიკითხე სხვა სია, რომელიც [illegible] (ვეშაპელი: მაშასადამე დაკარგული) შეიძლება. (მიმართავს ლ[illegible] თქვენ ნებავთ? (ლომთათიძე—დიახ, დასასაბუთებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავმჯდომარე. სიტყვა ეკუთვნის პარლამენტის წევრს ალექსანდრე ფალავანდიშვილს.

ალ. ფალავანდიშვილი (ს.-დ.) ბატონებო, მე მგონია, რომ ყველაფერი, რის თქმა შეიძლებოდა ამ შეკითხვის გარშემო და შესახებ, — უკვე ითქვა (ხმა: მეტიც!).

ყველა ფრაქციის წარმომადგენელი გამოვიდა აქ, ამ ტრიბუნაზე და განავითარა თავის ფრაქციის და აგრეთვე თავისი კერძო აზრი და სუბიექტური შეხედულება. ამის შემდეგ ბატონ მაჩაბელს განცხადება შემოაქვს, რომ — ჩვენ საშუალება მოგვეცით ჯასეხი გავიკეთ ამა თუ იმ ორატორებთან. მე ეს უსაბუთოდ მიჭირნია (ბატონ ბერ: „რასაკვირველია") დიახ, რასაკვირველია მე მგონია, რომ რაც სიტყვები ჰქონდა ეროვნულ დემოკრატის ფრაქციას, იმ ორატორების პირით, რომელნიც გამოვიდნენ, შეიძლოთ ამოეწურნენ ყველა ეს და თუ ეს არ ისურვეს ეს არ არის ჩვენი ბრალი.

ჩვენ კი გვგონია ყველაფერი, რაც შეგეძლოთ თქვენ თქვენ სიტყვაში ამოწურეთ, და ლაპარაკის გაგრძელება, ეს იქნება, ასე ვსთქვათ, უბრალო დროს დაკარგვა.

ეს ერთი უმთავრესი ბიზიზი ნებას გვაძლევს შემოვიტანოთ წინადადება, რომ კამათი შესწყდეს.

თავმჯდომარე წინადადება არის შემოტანილი, რომ კამათი შეწყდეს. ვინ არის მომხრე ამ წინადადებისა? მაშასადამე კამათი გახლავთ შეწყვეტილი.

აქ გახლავთ ერთი ფორმულა შემოტანილი.

ლომთათიძე. ნება მიბოძეთ წავიკითხო. (კითხულობს) მოისმინა რა შეიტყვა სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციისა შესახებ ტფილისის ზოგიერთ სომხურ გაზეთებში გაჩენილნ აგიტაციისა და მთავრობის გმნმარტება ამ შეკითხვაზე, პარლამენტი აღნიშნავს, რომ ასეთი სრულიად ყალბ ცნობებზე დაყრდნობილი აგიტაცია ისახავს სასიკეთილო ლახვარი დაცეს ხალხთაშორის ურთიერთობას და ამ ფრაქციის დამოუკიდებლობას და მის დემოკრატიულ წყობილებას, სრულს იმედს გამოსთქვამს, რომ მთავრობა ყურადღებით მოეკიდება საფრთხეს და მთელი თავისი ძალონით შეეგრძოლება ამათ, ვინც ორ მოძმე ერთა შორის სისხლის ღვრის გამომწვევ პოლიტიკას აწარმოებს; სრულ ნდობას უცხადებს მთავრობას, აღუთქვამს მას თავის დახმარებას და დადგის მორიგ საკითხებზე.

თავმჯდომარე. კენჭს ეყრა ამ ფორმულას, ვინ არის მომხრე? ვინ არის წინააღმდეგი? ფორმულა მიღებული გახლავთ.

კრებას ვხურავ.

კრება იხურება საღამოს 11 ს. და 10 წუთზე: